საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 15 აპრილი, 2014 წელი.

№75 (7456)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ფიქრები ობამას განცხადებასთან დაკავშირებით

3

პირდაპირ დავსვათ კითხვა - რა გვინდა ნატოში? დღევანდელ პოლიტიკოსთა პასუხი მოკლე და მარტივია — თავდაცვა რუსეთისგან! იმისთვის, რომ ეს განვახორციელოთ, მზად ვართ, მძიმე შესაწირავი გავიღოთ — ჩვენი ახალგაზრდა სამხედროების სიცოცხლე, ჩვენგან ათასობით კილომეტრზე დაშორებულ ავღანეთში, სხვაგან, შევასრულოთ ნატოს ყველა დავალება. და ყველაფერი ეს, თავი რომ დავიცვათ რუსეთისგან.

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ!..“

მე ჩემს ლამაზ საშობლოს ვხატავ

7

„ყოველ კაპიკზე ჯიბეში გვიძვრებიან, სულს გვაძრობენ“

5

სახლები, რომელთა გარეშე ქალაქი უფრო მეტად დამშვენდება

მერია ძველ რეჟიმში: დაპირება შეუსრულებელია, გზები - გაუვალი

6

რუსეთში მიხეილ გორბაჩოვის გასამართლებას აპირებენ

8

„ლელო“ — 80, ჯაჭლეტ ხუხაშვილი — 70

10

ფინანსური მონიტორინგის კანონი - დიდი საფრთხე ნაცმოძრაობისთვის

2

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ნარმანია ხოკრიშვილმა ჩაანაცვლა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე ელგუჯა ხოკრიშვილის კანდიდატურა წარადგინა. როგორც ღარიბაშვილმა მთავრობის კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ხოკრიშვილს მიღებული აქვს მაღალი დონის განათლება საზღვარგარეთ, აქვს სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

— ამ დრომდე გუჯა მუშაობდა მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელად და ასევე კავკასიის ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარედ. ბატონ გუჯას ძალიან საპასუხისმგებლო დარგს ვაბარებთ. მას აქვს შესანიშნავი კვალიფიკაცია, მრავალმხრივი განათლება და გამოცდილება და ყველა უნარი, რომ წარმატებით უხელმძღვანელოს სამინისტროს და გააგრძელოს ის გზა, რომელიც დაიწყო დათო ნარმანიამ. იმედი მაქვს, გუჯა გახდება ჩვენი გუნდის ღირსეული წევრი და იქნება ძალიან წარმატებული მინისტრი, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მან უწყების ყოფილ და ახალ მინისტრებს წარმატება უსურვა.

დავით ნარმანიამ მინისტრის თანამდებობა გუშინ დატოვა.

* * *

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, კანონმდებლობით მას ხვალიდან უკვე შეუძლია, წინასაარჩევნო კამპანია დაიწყოს.

როგორც დავით ნარმანიამ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, დღევანდელი დღიდან მას უწყდება უფლებამოსილება და, აქედან გამომდინარე, შეუძლია დაიწყოს წინასაარჩევნო კამპანია.

როგორც დავით ნარმანიამ განაცხადა, პირველი რამდენიმე დღე იქნება მოსამზადებელი ეტაპი და შემდეგ ძალიან სერიოზული გეგმით და პროგრამით წარდგება ამომრჩევლების წინაშე. როგორც მან აღნიშნა, საზოგადოებასთან ძალიან ბევრი საინტერესო შეხვედრა, პრეზენტაცია გაიმართება და ასევე მათ წარედგინებათ ახალი საინტერესო იდეები და პროექტები.

— მე ვფიქრობ, არჩევნები ძალიან დემოკრატიულად და ღირსეულად უნდა ჩავატაროთ, რათა კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგას დემოკრატიის განვითარების გზაზე, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

არჩევნები 15 ივნისს გაიმართება

საქართველოს მთავრობამ არჩევნების თარიღთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება მოიწონა. როგორც მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა შალვა თადუმაძემ განაცხადა, პრეზიდენტის განკარგულება ძალაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე შევა.

— პრეზიდენტმა 10 აპრილს ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლითაც არჩევნების სავარაუდო თარიღად დადგინდა 2014 წლის 15 ივნისი. მთავრობამ ამ აქტით კონტრასიგნაცია მოახდინა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014 წლის 15 ივნისს დაინიშნა. ამის შემდეგ ის ისევ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაიგზავნება, შემდეგ კი გამოქვეყნდება ცესკოს ვებგვერდზე და ძალაში შევა სწორედ ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე, — აღნიშნა თადუმაძემ.

თეა წულუკიანი პარტიებს მიმართავს

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებს, უწყებათაშორის კომისიას თავიანთი აქტივისტების, შტაბების წევრთა და ხელმძღვანელთა სია წარუდგინონ.

როგორც წულუკიანმა მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ განაცხადა, ეს საჭიროა, რათა მორატორიუმის გამოცხადების თაობაზე პრემიერ-მინისტრის ინიციატივა შესრულდეს.

— უწყებათაშორისი კომისია ამ თემასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს გამოაქვეყნებს, თუმცა მანამდე, როგორც კომისიის თავმჯდომარემ, მინდა, ყველა პოლიტიკურ პარტიას ვთხოვო, წარმოადგინონ თავიანთი აქტივისტების, შტაბების წევრებისა და ხელმძღვანელების სიები, რათა ვიცოდეთ, ვინ არიან ის პირები, რომლებიც საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობენ, — განაცხადა წულუკიანმა.

მისივე განმარტებით, „სიის წარმოდგენა ვერ მოემსახურება რომელიმე იმ პირის სისხლის სამართლებრივი პროცესიდან არიდებას, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული არ არის“.

— პრემიერის ინიციატივა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ყველა პარტიამ უნდა გამოიყენოს თავის და ქვეყნის სასარგებლოდ. რაც მთავარია, გონივრულობის ფარგლებში, — აღნიშნა წულუკიანმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი წისაარჩევნო კამპანიაში ჩართული პირების დაკავებებთან დაკავშირებით მორატორიუმს აცხადებს. ეს განცხადება მან გუშინდელ სხდომაზე გააკეთა და სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა, რომ საარჩევნო კამპანიაში ჩართული პირები დააკავონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამის გადაუდებელი და გარდაუვალი აუცილებლობა იქნება.

◎ ჭორო, საიდან მოდიხარ?

პროექტი წლის ბოლოს დამთავრდება

წინა ხელისუფლების ამჟამად საპარლამენტო უმცირესობაში გადასროლილი წევრები ერთ ხმაში გაჰყვიროდნენ, რომ მათ მიერ დაწყებული გრანდიოზული (მათივე შეფასებით) პროექტები არა მხოლო შეჩერებულია, არამედ ახალი ხელისუფლების მიერ საერთოდ უარყოფილია და, შესაძლოა,მათი დემონტაჟიც მოხდეს.

ახალი ხელისუფლება წინა ხელისუფლებიდან მემკვიდრეობით მიღებული მშენებარე პროექტების დემონტაჟს კატეგორიულად უარყოფს. შეჩერებას არ გამორიცხავს, რადგან ბევრი მათგანი ეკონომიკურად გაუთვლელი და დაუსაბუთებელი, მეცნიერულად შეუსწავლელი და ხშირად წამგებიანიცაა. რაც შეეხება იმ პროექტებს, რომლებიც ქვეყნისათვის სარგებლის მომტანი უნდა გამოდგეს, მათი მშენებლობა კვლავაც გრძელდება. მათ შორის ერთ-ერთია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა.

2013 წლის ბოლოს სტამბოლში ჩატარებულ კასპიის ზღვის ფორუმზე აღნიშნული ობიექტი შეფასდა როგორც რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი. ცოტა ხნის წინათ ბაქოში გაიმართა მარაბდა-კარწახის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის მე-18 საკოორდინატორო საბჭოს სხდომა, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ამჟამად ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მაგისტრალის საქართველოს მონაკვეთზე დასაქმებულია 1100 ადამიანი. მატარებელი ამ მიმართულებით 2014 წლის ბოლოს გაივლის. პროექტის ექსპლუატაციაში საბოლოო შესვლა 2015 წლის დასაწყისისთვის იგეგმება. მაშინ დასაქმებულთა რაოდენობა, კვირიკაშვილის გადმოცემით, 2500 მიაღწევს, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი მცხოვრებნი იქნებიან.

ბაქოს საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე ისაუბრეს რკინიგზის გამტარუნარიანობაზეც. ითქვა, რომ მატარებლები წელიწადში ერთ მილიონ მგზავრამდე გადაიყვანენ, მაგისტრალით გაივლის 5 მლნ ტონამდე ტვირთი. მაგრამ ეს საბოლოო შედეგი არ იქნება. ბაქოში შეთანხდნენ, რომ სატვირთო მოცულობა მუდმივად გაიზრდება და მეორე ეტაპისათვის სარკინიგზო მაგისტრალი 15 მლნ ტონამდე ტვირთს გაატარებს.

ასე რომ, „ნაცების“ სამწუხაროდ, მათ მიერ დაწყებული გონივრული და საქართველოსათვის მომგებიანი პროექტები არა თუ არ გაჩერებულა, მით უმეტეს არ იგეგმება მათი დემონტაჟი, არამედ არც კი შეჩერებულა და მალე ჩადგება ქართული სახელმწიფოს სამსახურში.

ზაზა ბილიხოძე

საფრანგეთმა ნავსაწინააღმდეგო ფრეგატი შავ ზღვაში გააგზავნა

ამის შესახებ უკრაინული მედია იუწყება. ნავსაწინააღმდეგო ფრეგატი Dupleix შავ ზღვაში 14 აპრილიდან 1 მაისამდე დარჩება და დაკისრებულ დავალებებს შეასრულებს, — ნათქვამია უკრაინის სტრატეგიული და თავდაცვის ანალიზის ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთან, ცენტრში აღნიშნავენ, რომ 28 მარტს შავ ზღვაში შევიდა ფრანგული ხომალდი FS Alize, რომელიც ვარნაში სამხედრო-საზღვაო წვრთნებში მონაწილეობდა. თუმცა, წვრთნების დასრულების შემდეგ ხომალდი შავი ზღვიდან არ გასულა.

ამასთან, შავ ზღვაში გასულ კვირას ამერიკული ნაღმსანი „დონალდ კუკი“ და ფრანგული ხომალდი Dupuy de Lome შევიდნენ.

◎ მიშისტებს არაფერი მოსწონთ!

ფინანსური მონიტორინგის კანონი — დიდი საფრთხე ნაცმოძრაობისთვის

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით (70 ხმით 2-ის წინააღმდეგ) დაამტკიცა. ოპოზიცია აღნიშნული კანონის გამო საეჭვოდ წერვიულობს, არასამთავრობო სექტორი — ნაკლებად, ხოლო საპარლამენტო უმრავლესობა პრობლემას საერთოდ ვერ ხედავს.

კანონპროექტის განხილვამ პარლამენტის სხდომაზე დეპუტატთა შორის დაპირისპირება გამოიწვია. საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ აღნიშნული ცვლილება საშუალებას აძლევს ხელისუფლებას, ქვეყანაში განხორციელებულ ყველა ტრანზაქციაზე ტოტალური კონტროლი დაამყაროს.

„ფინანსური მონიტორინგის გადატანა პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში ნიშნავს, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლია თითოეული მოქალაქის, ბიზნესორგანიზაციის ანგარიში გააკონტროლოს, ვინ ვის რა თანხა გადაურიცხა და ამისთვის აღარ დასჭირდება სასამართლო გადაწყვეტილების მიღება“, — განაცხადა ვაშაძემ და დასძინა, რომ ამ ტიპის ინფორმაციით, განსაკუთრებით ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხლაძეა დაინტერესებული.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის პრემიერის დაქვემდებარებაში გადასვლას აკრიტიკებს უმცირესობის კიდევ ერთი წევრი ზურაბ ჯაფარიძე. მისი განცხადებით, ფინანსური მონიტორინგის სამსახური ვერ იქნება დამოუკიდებელი, რადგან პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში მოხვედრისას ავტომატურად გადავა საბიუჯეტო დაფინანსებაზე. შესაბამისად, უწყება ფინანსურ დამოუკიდებლობას დაკარგავს.

დეპუტატის თქმით, კანონპროექტის ეფექტურობა დაუსაბუთებელია და მისი მიზანია „ერთ რუს ოლიგარქს“ საქართველოს მოქალაქეების ფინანსურ გადარიცხვებზე სრული ინფორმაცია ჰქონდეს, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემებს წარმოშობს.

ჯაფარიძემ მოითხოვა, კანონპროექტი რეკომენდაციებისთვის ევროსაბჭოს ყველაზე ავტორიტეტულ სტრუქტურას, მანი ვალის გადაეგზავნოს, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე თავის დროზე ფინანსური მონიტორინგის სამსახური შეიქმნა.

„თუ ევროსაბჭო გვეტყვის, რომ ფინანსური მონიტორინგი ასე უკეთესად იმუშავებს, მაშინ ხმას არ ამოვიღებთ. მიმაჩნია, რომ საკანონმდებლო ცვლილება შეამცირებს საფინანსო სისტემის სანდოობას და საინვესტიციო მიმზიდველობას“, — განაცხადა ჯაფარიძემ.

პროექტის ავტორი დავით ონოფრიშვილი კი უმცირესობის განცხადებების „ნაციონალების“ მორიგ „დემაგოგიას“ უწოდებს და ირწმუნება, რომ ფინანსური მონიტორინგის სამსახური პრემიერს ძალიან ბევრ ქვეყანაში ექვემდებარება.

„თქვენ მოსახლეობა შეცდომაში შეგყავთ“, — მიმართა ონოფრიშვილმა უმცირესობის წევრებს, — ახლაც, ცვლილებების გარეშე, მონიტორინგის ხელმძღვანელს პრემიერი ამტკიცებს. ჩვენ კანონი ევროკავშირთან შესაბამისობაში მოგვყავს. ეროვნულ ბანკს ფინანსური მონიტორინგის სამსახური მხოლოდ იტალიაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ექვემდებარება“.

მისი თქმით, უწყება აღნიშნული ფორმით ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა ჩამოაყალიბა და ნეიტრალური სამსახური არასდროს ყოფილა, რადგან იქ დღესაც მუშაობენ პროკურატურისგან დანიშნული კადრები.

„თქვენ მიერ აშენებულ დემოკრატიას ვხედავთ. თქვენ ეროვნული ბანკი (საერთოდ აპოლიტიკური ორგანიზაცია) და აუდიტის სამსახური გამოიყენეთ სწორედ პოლიტიკის ბრძოლის ინსტრუმენტად, „ქართუ ბანკის“ გაკოტრება და ჩვენი მხარდამჭერების ქონების წართმევა დაიწყეთ.

ჩვენ სხვანაირ ქვეყანას ვაშენებთ. ეს არის ევროპული გზა, ასე ხდება ევროკავშირის ქვეყანებში. არავის ანგარიში არ მოხვდება ინტერესის არეალში თუ ფულის გათეთრებას და ტერორიზმს არ ემსახურება“, — განაცხადა ონოფრიშვილმა.

გეჟა დანელია

დროული და დასაფასებელი

ფიქრები ობამას განცხადებასთან დაკავშირებით

ობამას, ფანჯიკიძისა და პეტრიაშვილის განცხადებებმა ქუთაისური ძველი ანეკდოტი გამახსენა – „ბალელშიკები“ ფეხბურთელებს რომ უყვირიან – „პენალი“, „პენალი“ დაარტყითო და, ისინიც რომ პასუხობენ – „სუდია არ გვაძლევს“. „ვინ კითხავს სუდიას, დადეთ ბურთი და დაარტყით“.

მკითხველი შემედავება, სად ობამა და სად ფანჯიკიძე-პეტრიაშვილიო. და მართლაც, მაგრამ ბედშავი საქართველოსთვის, ნირწამხდარისა და „გადაგდებულისთვის“ ქართული გამონათქვამი შებრუნებით ჟღერს, ანუ სად ფანჯიკიძე-პეტრიაშვილი და სად – ობამა. და ეს მას შემდეგ, რაც ღრმადპატივცემულმა ობამამ, აშშ-ის პრეზიდენტმა ერთობ არასასიამოვნო რამ თქვა ნატოში საქართველოს შესვლის თაობაზე.

იმ დღიდან ხელისუფლების, წინა ხელისუფლების და იმის წინას, მათი „ბალელშიკების“ (ამჯერად პოლიტიკური „ბალელშიკები“ მყავს მხედველობაში) დამოკიდებულება ობამასადმი კრიტიკული გახდა. „აფსუს, მაკკეინი“, – ფიქრობენ ნაცები. ის, რომ პრეზიდენტი გამხდარიყო, ნაცთა ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, ნატოშიც იქნებოდნენ და სააკაშვილიც აქ ეყოლებოდათ სამარადისო პრემიერ-მინისტრად.

და მართლაც, მაკკეინს რომ გაემარჯვა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ბედნიერები იქნებოდნენ ნაცები და რა უბედური – დანარჩენი საქართველო. გადავრჩით! მართალია, იმ ავადსახსენებელ წელს, პრეზიდენტის არჩევნების ფალსიფიკაციით და აფხაზეთ-სამხრეთ-ოსეთის დაკარგვით, ცუდის მეტი არაფერი მოუტანია, მაგრამ სააკაშვილის მამობილის, მაკკეინის გაპრეზიდენტება, საქართველოში შემთხვევით შემორჩენილ მოსახლეობას უცხოეთის გზას რომ გაუყენებდა, ფაქტია. ამერიკელ რესპუბლიკელთა წარმატებას ნაცები და მათი „ფიურერი“ დიდი გულმოდგინებით საკუთარ თავზე მოირგებდნენ და ისეთი აღმაფრენით შემოგვიტევდნენ, საუკუნეთა განმავლობაში ასეულობით მომხდურს რომ შეშურდებოდა. ქართველი ხომ მუდამ წარმატებით უტევს ქართველს.

ჩვენდა ბედად, აშშ-ის პრეზიდენტად ობამა მოგვევლინა. ჩვენდა ბედად, დაგვიანებით, მაგრამ მაინც (სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს პრინციპით), ობამამ ბრძანა, რომ ნატოს გაფართოება არ იგეგმება. ეს კი თავისთავად ნიშნავს იმის საწინააღმდეგო მოსაზრებას, რასაც ბოლო 15 წელიწადია სისტემატურად ვისმენთ.

აშშ-ის პრეზიდენტის ნათქვამს სხვა რეაქცია უნდა გამოეწვია ხელისუფლებაში, დაახლოებით ისეთი მაინც, როგორიც პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს ჰქონდა. მაგრამ რა ევროატლანტელები ვართ, თუ ჩვენი ევროატლანტელობა მძაფრად არ გამოვხატეთ? და დაიწყო ფანჯიკიძე-პეტრიაშვილის სრულიად საპირისპირო მტკიცება, ობამას ნათქვამის ინტერპრეტირება – ობამას „მაპის“ მონიჭებასთან დაკავშირებით არაფერი უთქვამსო და ა.შ.

დიახ! ობამას „მაპთან“ დაკავშირებით არაფერი უთქვამს, მაგრამ ნატოსთან დაკავშირებით თქვა და თანაც გარკვევით. და თუ ნატოში ვერ შევალთ, რა თავში ვიხლით „მაპს“? „მაპში“ ხომ არ შევდივართ? თუმცა, მათაც (ფანჯიკიძე-პეტრიაშვილი) უნდა გავუგოთ. ისინი ხომ მსუყე სახელმწიფო ლუკმას ნატო-ნატოს ძახილისთვის ჭამენ? ამ ტანდემის განცხადებებიდან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს საქართველო იღებს გადაწყვეტილებას აშშ-ს ნატოში მიღებაზე და არა პირიქით.

ჩემთვის ობამას განცხადებაში ახალი არაფერია. ახალი მხოლოდ ის არის, რომ ითქვა, თანაც პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად – საქართველო არ დგას ნატოს გზაზე. მაგრამ, რომ ითქვა, იმიტომ გვეხამუშება. მიჩვეულს ნუ მოაკლებო, რომ იტყვიან, ისეა ჩვენი საქმე. კარგა ხანია ჩვენმა ხელისუფლებამ და ნატოს შტაბ-ბინის მაღალ-დაბალმა მოხელეებმა ანდერს ფოგით დაწყებული და ჯეიმსებით დამთავრებული, ანუ რასმუსენ-აპატურაით, დღე არ დაკარგეს, ჩვენთვის რომ არ ეთქვათ, ნატოში მიგიღებთო.

ამ ორი გვარის სისტემატურმა ხსენებამ, დიდი „სიყვარული“ ჩადო ჩვენს თავში, ისეთი, უკეთესს რომ ვერ ინატრებდნენ ისინი. ვამბობთ ნატოს, ვგულისხმობთ რასმუსენ-აპატურაის, ვამბობთ რასმუსენ-აპატურაის, ვგულისხმობთ ნატოს.

ფანჯიკიძე-პეტრიაშვილის დაბეჯითებული მეცადინეობით, ჭარბი ნატოური ოპტიმიზმი ნატოს უელსის სამიტამდე გაგრძელდება, მიუხედავად ობამას ნათქვამისა. გაგრძელდება, მაგრამ ყურს არავინ დაუგდებს და თუ დაუგდებენ, ისინიც მათსავით ბრიყვები იქნებიან.

ობამას ნათქვამმა სერიოზულად უნდა დააფიქროს ხელისუფლება, მაგრამ აქვს მას სიღრმისეული დაფიქრების უნარი? ის რომ, ზემოთნახსენებ მინისტრებს ამის უნარი არ აქვთ, ფაქტია.

რას ნიშნავს დაფიქრება? უპირველეს ყოვლისა, განვლილი 20 წლის სიღრმისეულ შეფასებას და არათუ შეფასებას, გადაფასებასაც კი.

დამოუკიდებლობის წლებმა ბევრი რამ დაგვანახვა, უპირველესად, ის, რაც მანამდე ჩვენთვის უცნობი და შორეული იყო; რასაც მხოლოდ კინოფილმებიდან და რომანებიდან ვიცნობდით. დაგვანახვა იქაური ყოველდღიური, პროზაული არსებობა - რომანტიზმიდან დაშორებული. დაგვანახვა ცხოვრებისეული რეალობა, ჩვენი თავი ამ რეალობაში, დასავლური ცხოვრების ინტერიერში, რომელშიც მთელი არსებით ვართ გადაშვებული დავრდომილი დასავლელი მოხუცის უკანალის ჩაბანვის დროს – უმაღლესი განათლებით, ხშირად ორი დიპლომით.

დაგვანახვა ისიც, თუ რა ფასი აქვს იქ მიღებულ სამთვიანი კურსების სერტიფიკატს აქ მიღებულ „წითელ“ დიპლომთან შედარებით. დაგვანახვა იქაურის აშკარა უპირატესობა აქაურთან შედარებით, რასაც ყოველდღიურად ვაწყდებით ოფისებში, სამედიცინო დაწესებულებებში, თუნდაც აფთიაქებში. გინახავთ ვინმეს კაბინეტში აქაური უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი, კედელზე ჩამოკიდებული? იქაური მოკლევადიანი კურსების სერტიფიკატი – რამდენიც გინდათ.

განვლილმა წლებმა დაგვანახვა, რომ ჩამორჩენილები ვართ, ვიდრე ისინი. და არა მარტო დაგვანახვა, დაგვარწმუნა ამაში. მაგრამ არის ეს ასე? იქნებ სულ სხვანაირად არის და ჩვენ ვერ ვხედავთ? იქნებ მათი ხათრით და რიდით გვერიდება ამის თქმა?

დასავლეთისკენ თავქუდმოგლეჯილმა სირბილმა დაგვავიწყა მთავარი – საკუთარი თავი, საკუთარის კეთება, საკუთარი ცხოვრების შენება, საკუთარის განვითარება, საკუთარის პატივისცემა. დაგვავიწყა, რომ საკუთარის არმქონე ტვირთია მძიმე, მათთვის. და ამ ტვირთს ის არ აიკიდებს. ან რამდენი ჩვენნაირი უნდა აიკიდოს?

ტვირთია ის, რომ არც ერთ მეზობელთან არ გვაქვს (თურქეთის გარდა) საზღვრები დელიმიტირებულ-დემარკირებული; რომ დაკარგული გვაქვს ტერიტორიები და გვსურს მათი დაბრუნება; რომ ქვეყნის ეკონომიკა ნულს უტოლდება, ხოლო სასამართლო სისტემა ჩანასახშია; რომ კანონმდებლობა ისე შორს არის ევროპულისგან, როგორც დედამიწა მარსიდან და ა.შ.

ობამას ნათქვამი ცივი შხაპივით უნდა იყოს ჩვენთვის. მან წერტილი უნდა დაუსვას ცრუ რწმენას, ევროპა-ამერიკის უსაფრთხო, უდარდელი ცხოვრების მომასწავებელი ქოლგის ქვეშ თავის შეყოფის მცდელობას. მან უნდა გამოგვაფხიზლოს, აგვიხილოს თვალი, რათა რეალურად შევხედოთ სინამდვილეს, უარი ვთქვათ უსასრულო მარჩიელობაზე და დავიწყოთ, ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ჩვენივე ცხოვრების შენება.

რუსეთის აგრესიისგან თავდასაცავად შევდივართ ნატოში? რაღა შორი გზიდან ვუვლით ქვეყნის უსაფრთხოებას? იქნებ პოლიტიკურ „აგრესორთან“ დაგვეწყო ლაპარაკი? იქნებ, მოლაპარაკების შედეგად, აღარც ნატო დაგვჭირდეს და აღარც ევროკავშირი? პატარა და საბჭოეთთან ომგამოვლილი, დამარცხებული ფინეთიც ხომ პირდაპირი დიალოგის გზას დაადგა? იქნებ ევროკავშირის ბაზარი აღარ გამოგვადგეს რუსეთთან წარმატებული მოლაპარაკების შემდეგ? ჩვენი პროდუქცია, ჯერ არ შექმნილი, ევროპის ბაზრისთვის რომ მიუღებელი იქნება, გასაკვირია? ნუთუ რუსული უკიდეგანო ბაზარი ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს სავაჭრო მოთხოვნებს?

რუსეთის აგრესიისგან თავდასაცავად შევდივართ ნატოში? რაღა შორი გზიდან ვუვლით ქვეყნის უსაფრთხოებას? იქნებ პოლიტიკურ „აგრესორთან“ დაგვეწყო ლაპარაკი? იქნებ, მოლაპარაკების შედეგად, აღარც ნატო დაგვჭირდეს და აღარც ევროკავშირი? პატარა და საბჭოეთთან ომგამოვლილი, დამარცხებული ფინეთიც ხომ პირდაპირი დიალოგის გზას დაადგა? იქნებ ევროკავშირის ბაზარი აღარ გამოგვადგეს რუსეთთან წარმატებული მოლაპარაკების შემდეგ? ჩვენი პროდუქცია, ჯერ არ შექმნილი, ევროპის ბაზრისთვის რომ მიუღებელი იქნება, გასაკვირია? ნუთუ რუსული უკიდეგანო ბაზარი ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს სავაჭრო მოთხოვნებს?

ოპტიმიზმი ნატოს ბუქარესტის სამიტამდე, ბუქარესტიდან ვილნიუსამდე, ვილნიუსიდან ... ეს ... ეს ... ეს

◎ რეზონანსი

მართლაც ნეტარ არიან მორწმუნენი!

ბატონი სოსო ციისკარიშვილის მიერ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე

ეხმაურება რა უკრაინაში, კერძოდ, ყირიმში განვითარებულ მოვლენებზე დასავლეთის რეაქციას, ბატონი სოსო შემდეგნაირ შეფასებებს გვთავაზობს:

„პირველი შემთხვევაა (ხაზი ყველგან ჩემია — ი.ლ.), როცა ნატო-ს წევრი ქვეყნები, აშშ და ევროკავშირიც ერთიანნი არიან თავიანთ წარმოდგენებში. **იმდენად უხეში ჩარევა იყო უკრაინაში** (იგულისხმება — რუსეთის მხრიდან — **ი.ლ.**) მიმდინარე პროცესებში, რომ სხვაგვარი მოლოდინი, ალბათ, არც არსებობდა. ასეთი **კოლექტიური და მკაცრი** სანქციების **გამოცდილება** ცივილიზებულ დასავლეთს არ აქვს“.

ერთობ გასაკვირია ასეთი მოსაზრებების მოსმენა ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარისგან, მაგრამ „ინტერპრესნიუსთან“ მოკლე საუბარში, სამწუხაროდ, კიდევ ბევრი უცნაურობა გვხვდება.

ჯერ ერთი, გაუგებარია რომელ „მკაცრ სანქციებს“ გულისხმობს ბ-ნი სოსო. ისეთი სანქციები, რუსეთი ოდნავ მაინც რომ შეეწუხებინა, ჯერჯერობით, არ არსებობს; და მეორეც, როგორ არის ეს „პირველი შემთხვევა“ და როგორ არა აქვს „დასავლეთს კოლექტიური სანქციების გამოცდილება“. დასავლეთს თუ არა აქვს, აბა ვისა აქვს — რუსეთს თუ ჩინეთს? ან აქვს კი ვინმეს საერთოდ?! მაგალითისთვის მარტო ირანი კმარა, რომელიც, მიუხედავად მართლა მკაცრი სანქციებისა, მაინც ვერ მოდრიკა დასავლეთმა, და ეს დასავლეთი რუსეთს დააჩოქებს ამ გზით?!

რაც შეეხება რუსეთის „იმდენად უხეშ ჩარევას უკრაინაში“ — ეს არასწორი და ცოტა უხერხული შეფასებაც კია, რადგან რუსეთმა ერთი გასროლის გარეშე, ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე დაიბრუნა უკანასკნელი ორ-ნახევარი საუკუნის მანძილზე რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ყირიმი, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვმა 60 წლის წინათ ვოლუნტარისტულად მიუერთა უკრაინას. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყირიმის მოსახლეობამ, რომლის 58%-ს რუსები შეადგენენ, 25%-ს — უკრაინელები და 12%-ს — ყირიმელი თათრები, ძალიან მაღალი, 83%-იანი აქტივობის ფონზე 96.8%-ით(!) მხარი დაუჭირა რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას(!), ანუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს არა მხოლოდ რუსებმა, არამედ უკრაინელების და თათრების აბსოლუტურმა უმრავლესობამაც, და ამას ჰქვია უკრაინაში უხეში ჩარევა?! მაგრამ **უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყირიმი არასოდეს(!) ყოფილა უკრაინა, ან როგორ იქნებოდა, როდესაც თავად უკრაინა არ ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო არასოდეს**. უკრაინის ტერიტორია საუკუნეების მანძილზე ხან პოლონეთის იმპერიაში შედიოდა, ხანაც — ლიტვის და ავსტრო-უნგრეთის, ბოლო პერიოდში კი, 200 წელზე მეტი — რუსეთში!

საკუთარი(!) მიწის მშვიდობიანი(!) გზით დაბრუნებას თუ უხეში ჩარევა ჰქვია, მაშინ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნება რეფერენდუმის გზით (სავსებით შესაძლებელი ლტოლვილების დაბრუნების შემთხვევაში) უხეშ ჩარევად ჩაგვეთვლება?! უხერხული შეფასება კი იმიტომ არის, რომ როგორ შეიძლება რუსეთის „უხეშ ჩარევაზე“ ილაპარაკო ექსპერტმა და იმ დასავლეთის იმედი გქონდეს, რომელიც მართლაც უცერემონიოდ ერევა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში, ოღონდ, არა „უხეშად“, არამედ — „დემოკრატიულად“, „სამშვიდობო მისიის“ ეგიდით! იქნებ, ამ გზით „გაბედნიერებული“ ქვეყნების და მათი გაძარცული მუზეუმების ჩამოთვლაა საჭირო?!

შემდეგი შეფასება:

„ბოლოს და ბოლოს **გაიღვიძა სახელმწიფოებრივმა თავმოყვარეობამ** არა მხოლოდ ამერიკის, არამედ მსოფლიოს **40-მდე სახელმწიფოს მოსახლეობაში“. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია** ასეთი სახელმწიფოების **ხელისუფლებებისთვის მისაღები შესაბამისი გადაწყვეტილებები,** რისი მოწმენიც ვართ“.

რაღა დაგიმალოთ და, ამ სიტყვებმა ღიმილი მომგვარა — როდის ყოფილა, რომელ სახელმწიფოში, რომ რომელიმე ხელისუფლება „მოსახლეობის სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობის“ მიხედვით იღებდა „შესაბამის გადაწყვეტილებებს“ — სანქციების დაწესება იქნებოდა ეს, ფერადი რევოლუციების მოწყობა თუ პირდაპირი სამხედრო აგრესია. მიამიტობას ვერ ვაკადრებ ბ-ნ სოსოს, მაგრამ მიზანმიმართულად რომ ცდილობს დასავლეთის მშვიდობის მტრედად წარმოჩენას, ფაქტია; დავიჯერო, კიევის „მაიდნის“ ირგვლივ მარტო CNN-BBC-ით იღებდა ინფორმაციას?!

შემდეგი:

„მხოლოდ რეიგანმა შეძლო ის, რაც არც ერთ სახელმწიფოს არ ხელეწიფებოდა. მან დაარქვა ყველაფერს საკუთარი სახელი და ბოროტების იმპერიად მონათლული **საბჭოთა კავშირი დასცა მუხლებზე“.** უბრალოდ, მას ვერ წარმოედგინა, რომ ამ **მონსტრის ნამსხვრევები იქნებოდნენ** საკუთარი რეაბილიტაციის შემძლე და **თვითაღდგენის უნარის მქონე“.**

სიმართლე გითხრათ, 90-იან წლებში ზუსტად ასე ვფიქრობდი მეც და, ალბათ, მოსახლეობის 99%-საც რეიგანი მიაჩნდა საბჭოთა კავშირის დამშლელად. მას შემდეგ, ინტერნეტის წყალობით, ბევრი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა და რუსეთში განვითარებული მოვლენების შედარებით ობიექტური ანალიზიც — შესაძლებელი, და უკვე კარგა ხნის გარკვეულია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის მთავარი შემოქმედი და დავალებების შემსრულებელი გორბაჩოვი იყო (ციხე შიგნიდან ტყდება ხოლმე!). თუ შევადარებთ მაშინდელ რუსეთში და დღევანდელ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, მაშინ, ბ-ნი სოსოს ლოგიკით, პროამერიკული გადატრიალებაც კიევში, მისი წარმატება, ახლანდელ რეიგანს, ანუ ამერიკის პრეზიდენტ ობამას უნდა დაბრალდეს (იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკამ ხუთი მილიარდი დახარჯა „მაიდნის“ შემზადებაში, შეიარაღებული რაზმების გაწვრთნაში ბალტიისპირეთსა და პოლონეთში, ასეთი დასკვნა ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან). მაგრამ, მაშინ რა ვუყოთ იმას, რომ ანალოგიური „ნომრები“ ამერიკას არც მოსკოვში გაუვიდა და არც — მინსკში? იქ ხომ უფრო ადრე და, თან, რამდენჯერმე(!) იყო ამის მცდელობა? ძალისხმევა და მილიარდები არც რუსეთ-ბელორუსში დაუკლია დასავლეთს — მაიდნის მსგავსი ნიადაგი იქაც შეამზადა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ვერ მიაღწია, რადგანაც ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტია(!) სახელმწიფოს ლიდერების სიმტკიცე, მათი გონივრული და დროული(!) ქმედება. ამ მხრივ ივარგეს პუტინმა და ლუკაშენკომ, ვერ ივარგეს იანუკოვიჩმა და თავის დროზე — ნიკოლოზ მეორემ, ხოლო მიხეილებმა — გორბაჩოვმა და საკაშვილმა, ერთგული ვარგისიანობისთვის ერთმა „პერესტროიკის“, მეორემ კი —„დემოკრატიის“ შუქურების ერთობ შემოსავლიან წოდებებს გამოჰკრეს ხელი.

ჩემს მოსაზრებას წინამძღოლის როლის თაობაზე, თავად ბ-ნი სოსო ადასტურებს, როცა ამბობს, რომ „მონსტრის ნამსხვრევებს თვითაღდგენის უნარი თუ ექნებოდათ“, ვინ წარმოიდგენდაო. ოღონდ „ოდნავ“ ეშლება — თვითაღდგენა კი არ მოახერხეს ნამსხვრევებმა (ასეთი რამ არ ხდება, ეს არარეალურია!), ნამსხვრევები გაამთელა და რუსეთი ფეხზე დააყენა ერთი კაცის — პუტინის გონიერმა პოლიტიკამ, ამას ყველა აღიარებს მსოფლიოში! საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ელცინის მმართველობის პერიოდში რუსეთი უფრო უარეს დღეში იყო ეკონომიკურად, ვიდრე უკრაინა, პუტინის მოსვლის შემდეგ კი მან ყველა მონაცემებით ბევრად გადაუსწრო უკრაინას. ლიდერის განმსაზღვრელი როლი უხსოვარი დროიდანაა ცნობილი და ისიც აქსიომაა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური აღმავლობა და სამხედრო გაძლიერება მხოლოდ მაშინ ხერხდება, თუ მას ჭკვიანი, სამშობლოს მოყვარული და უშიშარი წინამძღოლი უდგას სათავეში!

და ბოლოს, ბ-ნი სოსოს კიდევ ერთი მიგნება თუ ნატვრა:

„უკვე ცხადია, რომ მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებაში სრულიად გაცნობიერებულად თუ ქვეცნობიერად **ჩნდება რონალდ რეიგან-2-ის აუცილებლობის მოლოდინი“.**

ანუ ბ-ნი სოსო ციისკარიშვილი, ამჯერად, რუსეთის დაშლის მოლოდინშია და სიხარულითაც მოელის მას! ჯერ ერთი, რეიგან-2-ის მოლოდინი აბსოლუტურად მცდარია, რადგან რამდენი რეიგანიც არ უნდა გამოჩნდეს პუტინის მმართველობის პერიოდში, ყველანი ობამას „ბედს“ გაიზიარებენ, და მეორეც, განა ამ ნატვრის ასრულება, ანუ რუსეთის დაშლა სასიკეთოდ წაადგება საქართველოს? ჩვენთვის ხომ ეს არის მთავარი კითხვა და ყველა ექსპერტიც ხომ ამ თვალთახედვით უნდა უდგებოდეს ნებისმიერ საკითხს. ვთქვათ, რეიგან-2-ის და პუტინის შემცვლელის (გორბაჩოვისნაირის!) წყალობით ისე დაიშალა რუსეთი, რომ ვერც ჩვენ გვავნო ვერაფერი და ვერც — სხვას (ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მაინც). მაინტერესებს, ჩრდილოკავკასიური საშიშროებისგან და, რაც ყველაზე მთავარია, თურქეთის ექსპანსიისგან ამერიკა დაგვიცავს?! არიქა, ამ უძველესი კულტურის, საკუთარი დამწერლობის მქონე მართლმადიდებელ ერს გათქვეფა-გაქრობა არ დაემუქროსო?!

მართლა ნეტარ არიან მორწმუნენი! ამაზე ლაკონურად ვერაფერს ვიტყვი!

იაკობ ლეჟავა,
4 აპრილი, 2014

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● „გოლოს ხაინდრავა“ არ ჩაახშოთ!

● ხაინდრავა ყვითელ კურტაკს ჩაიცმევს და თუ მაგის რადიოს არ მოვუსმინე, ნ ლარით დამაჯარიმებს?

● სახელმწიფოსგან მოვითხოვ — იმ ოჯახების სამომხმარებლო კალათებიდან, ვისაც ტყუპები გვყავს, დაუყოვნებლივ ამოიღონ გიტარა და ჩადონ კონტრაბასი!

● აწი სანამ გლაზოკში არ გავიხედავ, არავის შემოვუშვებ ხელისუფლებაში!

● მათხოვარმა მთხოვა ფული.

მე დავანახე ჩემი საკრედიტო ბარათი, ნაღდი ფული არ მაქვს-მეთქი. მან ამოიღო სამი ტერმინალი და მკითხა:

რომელი ბანკის ბარათია?

— „წურბელ-ბანკი“ — ვუპასუხე და მივაწოდე.

— რამდენი ჩამოვაჭრა? — მომმართა საქმიანი ტონით.

— ათი თეთრი... არა, ოცი... არა, ათი თეთრი იყოს.

— ოცი იყოს! — მკაცრად თქვა მათხოვარმა და ჩეკი ამომირტყა. მერე დახედა ტერმინალს და შეწუხებულმა გამაფრთხილა:

— საკრედიტო ბალანსი გეწურებათ და ფრთხილად იყავით. მადლობა გადავუხადე და წამოვედი სახლში (ციკლიდან „საქართველო. XXI საუკუნე“).

● ვფიქრობ, უკვე დროა, შევწყვიტოთ ხელისუფლების კრიტიკა და ჩვენი დახმარება შევთავაზოთ, თორემ ნაცები რაღაც ცუდად ამოძრავდნენ. ღმერთმა არ ჰქნას საძირკველი გაიმაგრონ და შეტევაზე გადმოვიდნენ, თორემ ისევ ჩვენი საომარი იქნება. ახლა ყველაზე ცუდ დღეში პრემიერია, უნდა მივეშველოთ, ვისაც როგორ შეგვიძლია. ჯერ ბოლომდე ჩავახშოთ ნაციონალური მოძრაობა და მერე ვილაპარაკოთ სხვა ამბებზე.

● რაღაც უბედურება გვჭირს... წყევლაა ალბათ ვიღაცის... ვერ ამოვედით ამ პატრიოტული ცემატყეპებისგან.

ყველა საინფორმაციო ერთმანეთის ცემა-ტყეპის სიუჟეტებით იწყება უკვე წლებია და იმის ნაცვლად, რომ გვრცხვენოდეს, ასეთ სიუჟეტებს მერე მოჩხუბართა ორივე მხრიდან დიდი ქება-დიდება მოყვება ხოლმე — აბა, ყოჩაღ და აბა, მალადეც, რა კარგად მიარტყმოარტყიო.

და მერე ევროპას და აზიას ვაძახებთ ერთმანეთს...

ისე არ მოგვივიდეს ბოლოს — ყურშა წააქეზეს და დიდ მგელს შეაჭამესო...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

მოვაჭრეების ნაწილი გორის ძველი ბაზრის ტერიტორიაზე დაბრუნდა

კვირა ღამე გორის ბაზრის მოვაჭრეების ერთმა ნაწილმა ყოფილი სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე გაათენა. მოვაჭრეები ძველ ბაზარში დაბრუნებას ითხოვენ და გორის ადმინისტრაციულ შენობასთან შიმშილობის დაწყებით იმუქრებიან.

მოვაჭრეებთან შესახვედრად არავინ მისულა. გუშინ დილით, სამი თვის წინ გაუქმებული აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე ათობით მოვაჭრემ თვითნებურად გაშალა სავაჭრო დახლები და მუშაობას შეუდგა.

მოვაჭრეები აცხადებენ, რომ არ დაემორჩილებიან არც ბაზრის მეპატრონე ინვესტორის მოთხოვნას და არც სამართალდამცავებს. ისინი აღნიშნული ტერიტორიის დატოვებას არ აპირებენ.

გორის ძველი აგრარული ბაზარი დახურულად სამი თვის წინ გამოცხადდა. მოვაჭრეები ობიექტის მეპატრონე არაბმა ინვესტორმა ახალ სავაჭრო ცენტრში გადაიყვანა, თუმცა, ბაზარში დასაქმებულები აცხადებენ, რომ აღნიშნული ტერიტორია მათთვის მიუღებელია.

20 იანვრიდან ბაზრის მოვაჭრეებმა რამდენიმე ხმაურიანი აქცია გამართეს. ორი კვირის წინ, დაპირისპირება ინვესტორის ახლობლის მხრიდან სავაჭრო ობიექტის ადმინისტრაციულ შენობაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სურათის ჩამოხევის მცდელობას მოყვა. გორის გაუქმებული ბაზრის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არც სავაჭრო ობიექტის ადმინისტრაციის და არც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არ მისულან.

ინტერპრესი

◎ დედაქალაქი

სახლები, რომელთა გარეშე ქალაქი უფრო მეტად დამშვენდება

თბილისი და მისი ურბანული მომავალი მუდამ ქვეყნის საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრშია და, ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბოლო დროის ერთ-ერთი გახმაურებული თემა — „ხრუშჩოვკების“ დანგრევისა და მათ ადგილას ახალი მრავალსართულიანი კორპუსების აგების საკითხი — ხალხში საგრძნობი ვნებათაღელვის გამომწვევი გახდა. სწორედ ამაზე ვესაუბრეთ საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს დავით ჟიჟინაძეს.

— პირდაპირ ვთქვათ, — ამბობს ბატონი დავითი, — ამ თემის წინა პლანზე წამოწევა იმ დროს, როცა ამის თაობაზე ერც ერთი სამშენებლო კომპანია საქმის კურსში არ არის და ყველანი ამის შესახებ ერთ მშვენიერ დღეს ტელევიზიის მეშვეობით ვიგებთ, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. კიდევ უფრო მეტ გაკვირვებას იწვევს ვიღაც უცნობ უცხოელ ინვესტორთან თბილისის საკრებულოს მიერ გაფორმებული მემორანდუმი. ჟურნალისტებისგან გამიკვირდა ამ საკითხთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟიც, რადგან, როგორც იტყვიან, „მანამდე მისასვლელად“ იმდენ კითხვაზეა პასუხი მისაღები, რომ მემორანდუმის საკითხის სერიოზულობა-არასერიოზულობაზე მსჯელობა მხოლოდ პასუხების მიღების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

ძველის, დრმოჭმულისა და ვადაგასულის დანგრევისა და ახლის აშენების იდეა, თავისთავად, ძალიან მიმზიდველია, მაგრამ მას უამრავი საორგანიზაციო, ურბანული, არქიტექტურული, ინფრასტრუქტურული და კიდევ მრავალი სხვა პრობლემა ახლავს, რაიმეზე საქმიანად საუბარიც კი, თანაც ერთბაშად მთელი ქალაქის მასშტაბით, ნამდვილად არარეალურია. ძალიან მნიშვნელოვანია დაფინანსების საკითხიც, ლაპარაკი იყო ასევე, 200 მილიონი დოლარის ღირებულების სანტექნიკური, სამშენებლო და, ზოგადად, საცხოვრებელი სახლების ნორმალურად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ტექნიკის დაგეგმილ შემოტანაზე ინვესტორის ქვეყნიდან, რაც ასევე კითხვებს ბადებს.

— წარმოიდგინეთ, სესხის დაბრუნების გარანტად ინვესტორი ფინანსთა სამინისტროს მოითხოვს, — განაგრძობს ბატონი დავითი. — ისმება კითხვა: თუ ამ კრედიტს სახელმწიფოს გარანტიით ავიღებთ, მაშინ განა თავად სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ფულის მოზიდვა? ის 200 მილიონი დოლარი, რომელიც ქვეყნიდან უნდა გავიდეს, ისევ საქართველოში რომ დაიხარჯოს, თუნდაც დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაზე, განა ეს უკეთესი არ არის? უცხოელ ინვესტორს კი რის შემოთავაზება შეუძლია — ძირითადად საშენი მასალების, ხომ? ჩვენც ხომ ისედაც ძირითადად იმპორტულს ვხმარობთ!

თბილისში მრავალი სახლის ავარიულობის მიზეზი მხოლოდ უხარისხო მშენებლობა, ანდა მათი ექსპლუატაციის ვადის გასვლა კი არა, თავის დროზე უხარისხოდ შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური, საპროექტო და სხვა სამუშაოთა აშკარად არადამაკმაყოფილებელი დონეა. ამდენად, მიმაჩნია, რომ ასეთი ყოვლის მომცველი პროექტი მარტო „ხრუშჩოვკებს“ კი არა, ქვეყნის მასშტაბით ყველა ავარიულ სახლს უნდა მოიცავდეს.

და კიდევ: დასანგრევი „ხრუშჩოვკების“ ადგილას მრავალსართულიანი კორპუსები თუ აშენდება, აქ ერთბაშად რამდენიმე პრობლემა წარმოიშვება: ამ სახლებში ამჟამად მცხოვრებთა დროებით სხვა საცხოვრისებში განთავსების საკითხი, რა პირობებით მოხდება ეს, დათანხმდება თუ არა ხალხი შეთავაზებულ პირობებს, როგორი იქნება მათთან კომუნიკაციები და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველივე ამის გაკეთება რაღაც ოთხ თვეში, როგორც ეს არაერთ ტელეგადაცემაში თუ საგაზეთო პუბლიკაციაში ითქვა, სრულიად წარმოუდგენელია.

კიდევ მინდა ვთქვა დაანონსებული ვადის შესახებ: არსებული ინფორმაციით, პროცესი, რომელიც 5 წელიწადში უნდა განხორციელდეს, მთლიანად 5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის აშენებას ითვალისწინებს, რაც წელიწადში 1,6 მილიონი კვადრატული მეტრია და საქართველოსთვის ძალიან დიდი მოცულობაა. საამისოდ კი არც შესაბამისი საინჟინრო კადრები გვყავს და არც საკმარისი მუშახელი. თანაც, ერთბაშად ამდენი საცხოვრისი ფართის გაჩენა უძრავი ქონების ბაზარზეც ხომ უარყოფითად აისახება?! ხოლო, თუ ყოველივე ამის ფრთა შესასხმელად ისევ უცხოურ კომპანიებს მოვიწვევთ, გამოვა, რომ სხვისი ეკონომიკის წინსვლისთვის ვმუშაობთ, საკუთარს კი „მშრალზე ვტოვებთ“.

— ამიტომ, ყველაფერი კარგად უნდა დაანგარიშდეს და წინასწარვე გაიწეროს, რათა შემდგომ გზადაგზა არ მოგვიხდეს ყველაფრის გადაკეთება, — დარწმუნებულია ბატონი დავითი. — თქმა არ უნდა: ავარიულ სახლებში მცხოვრებთათვის ეს პროექტი ძალიან კარგია. მაგრამ კრედიტის აღებისას იმაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ, რომ ხუთი წლის მანძილზე რა ინფლაციური პროცესები შეიძლება მოხდეს მსოფლიოში, ქვეყანაში და რეალურად რა თანხების დაბრუნება მოგვიწევს? მით უფრო, რომ ყველა ინვესტორის ინტერესი ერთია: მოვალეს იმხელა ვალი ჰქონდეს, რომ მისი გადასახადი პროცენტი, ფაქტობრივად, ვალის ტოლი იყოს, ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, რომ ვიღაცა ცდილობდეს, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ერთიანად საგარეო ვალის მომსახურებაზე იყოს ორიენტირებული!

წინა ხელისუფლებას ძალიან უცნაური მეთოდები ჰქონდა — მხედველობაში მაქვს პიარული ინფორმაციების გავრცელება, ისეთი რაღაცების გახმაურება, რაც დიდი აჟიოტაჟის თემა არ უნდა იყოს. „ხრუშჩოვკების“, ზოგადად ავარიული სახლების თემაც, დარწმუნებული ვარ, მათ რიცხვს ეკუთვნის. ასეთი მასშტაბური პროექტი საყოველთაო საჯარო, მრავალი პროფილის სპეციალისტის განსჯის საგანი უნდა გახდეს. თუმცა კი ჯერჯერობით მხოლოდ რაღაც საკმაოდ ბუნდოვანი განცხადებები გაისმოდა.

ვიმეორებ: — სოციალური თვალსაზრისით ავარიული სახლების ადგილზე ახალი, კეთილმოწყობილი საცხოვრისების აშენება ძალიან კარგი იდეაა, რადგან სახელმწიფოს ეს ძალიან ბევრი ნაკისრი ვალდებულების გასტუმრებაში დაეხმარება, მაგრამ მთავარია, როგორ და რანაირად გაკეთდება ყველაფერი.

ოთარ ტურაბელიძე.

P. S. იმის თაობაზე, თუ როგორია რეალურად საქმის ვითარება და რა მუშაობა მიმდინარეობს ამ მიმართულებით თბილისის საკრებულოში, შემდეგ პუბლიკაციაში შემოგთავაზებთ, რომელიც გაზეთის უახლოეს ნომერში გამოქვეყნდება.

ო. ტ.

◎ მგზავრი და ტრანსპორტი

„ყოველ კაპიკზე ჯიბეში გვიძვრებიან, სულს გვაძრობენ“

საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორ გაიფიცნენ თბილისის მიკროავტობუსების მძღოლები და აქციებს მერიის შენობის წინ აწყობდნენ. შედეგად ის მივიღეთ, რომ ე. წ. ყვითელმა ავტობუსებმა და მეტროპოლიტენმა მგზავრთა ნაკადს ვერ გაუძლეს და თბილისი სატრანსპორტო კრიზისში აღმოჩნდა. მოქალაქეთა უკმაყოფილება აღშფოთებაში გადაიზარდა. მიმდინარე მოვლენების გამო შეფუცხუნდნენ მერიის ჩინოვნიკები და კომპანია „თბილისის მიკროავტობუსების“ მესვეურები. სასწრაფოდ დაიწყეს მოლაპარაკებები გაფიცულთა წარმომადგენლებთან. ძირითადი მოთხოვნები იყო, არ გაზრდილიყო მგზავრობის ღირებულება და მძღოლთა ყოველდღიური სავალდებულო შესატანები.

გამოხდა ხანი. ვნებათაღელვამ ჩაიარა და მერიამ თავისსავე ხელდასხმულ მიკროავტობუსების კომპანიებთან ერთად მაინც დაიწყო ჩაფიქრებულის განხორციელება. ჯერ იყო და, 50-60-თეთრიანი მგზავრობის საფასური 80 თეთრამდე ასწიეს, შემდეგ რაღაც პერიოდი გაიტრუნნენ და დაელოდნენ მძღოლთა და მგზავრთა რეაქციას. ორივე მხარე უკმაყოფილებას მხოლოდ კერძო საუბრებში გამოხატავდა.

შემდეგ დღიურ შესატანსაც მიადგნენ და თამასა 53 ლარიდან 60-მდე გაზარდეს. მას კი მოჰყვა მძღოლთა რაღაც ნაწილის საპროტესტოს მაგვარი აქცია, მაგრამ ეს უფრო წამოკნავლების მსგავსი ღონისძიება იყო და მეტი არაფერი.

მიკროავტობუსის მძღოლი შოთა წიკლაური ამბობს, რომ მის კოლეგებში ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ყოველდღიური გადასახადი დღეში 70 ლარამდე აიწევს.

შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიკროავტობუსებში მალე დაიწყება ვიდეოთვალების დამონტაჟება, რაც მძღოლებმა მტკივნეულად აღიქვეს. წიკლაურის კოლეგა გურამ მანველიძემ ისიც კი თქვა — აქამდე რომ სამგზავრო ბარათებიდან შემოსულ თანხას გვითვლიდნენ, ახლა მგზავრთა რაოდენობასაც დაგვითვლიანო. „ყოველ კაპიკზე ჯიბეში გვიძვრებიან, სულს გვაძრობენ“, აცხადებს მომავალი სიახლით აშკარად უკმაყოფილო მიკროავტობუსის მძღოლი.

„თბილისის მიკროავტობუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის **ლიკა ორჯონიკიძის** განმარტებით, მიკროავტობუსში ვიდეოთვალი ეტაპობრივად დამონტაჟდება. გარკვეული დროის შემდეგ კონკრეტული „მარშრუტკიდან“ ვიდეოთვალი მოიხსნება და ახლა სხვა „მარშრუტკაზე“ დამონტაჟდება. ამით მოხდება მგზავრთა ნაკადის დადგენა, რის შედეგადაც განისაზღვრება მძღოლების დღიური ნორმა, ეს კი მგზავრთა რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული, აცხადებს ორჯონიკიძე.

მგზავრთა შესაძლო რეაქციის შესახებ მოსალოდნელ სიახლესთან დაკავშირებით, სოციოლოგთა ერთმა ჯგუფმა ჩაატარა მიკროგამოკითხვა და მეტად საინტერესო პასუხები მიიღო — **მამაკაცთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის მნიშვნელობა არა აქვს, იქნება თუ არა მიკროავტობუსებში ვიდეოთვალი. ეს უფრო მძღოლთა გასაკონტროლებლად დაიდგმება და არა მგზავრთა. აი, სუსტი სქესის წარმომადგენლებში სჭარბობს უარყოფითი მოსაზრება, რადგანაც მათთვის არასასიამოვნო იქნება ვიღაცამ აკონტროლოს მათი გადაადგილების მარშრუტი.**

სპეციალისტები, ექსპერტები სულ სხვა კუთხით განიხილავენ მოსალოდნელ სიახლეს. ადგილობრივი არჩევნები კარსაა მომხდარი და „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი უკანასკნელი ოფიციალური სტრუქტურით, მერიის მეშვეობით თითოეული ლარის მობილიზებას იწყებს.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

საყდრისის ტერიტორიაზე სამუშაოები განახლდა

საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიული ოქროს საბადოს დასაცავად საბადოს მახლობლად კარვების გაშლა იგეგმება. საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტის წევრები არასამთავრობო ორგანიზაცია „პრინციპის“ და საპატრიარქოს ახალგაზრდული ორგანიზაცია წევრები ავლაბრის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ, შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წერილი დატოვეს. წერილში არასამთავრობოები პრეზიდენტს სთხოვენ, საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიული საბადოს გადარჩენის საკითხი პირად კონტროლზე აიყვანოს.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ხელოვნებათმცოდნე მარინა მიზანდარმა განაცხადა, თავად აპირებს მთავრობის კანცელარიაში შეიტანოს საჩივარი, რომლითაც კულტურის სამინისტროს 13 მარტის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. მარინა მიზანდარმა განაცხადა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიული საბადოს ტერიტორიაზე შევიდა ტექნიკა და იქ ნგრევითი სამუშაოები დაიწყო.

მიზანდარი მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი დიდ საზოგადოებრივ პროტესტს გამოიწვევს, რადგან ამ ძეგლის მიმართ საჯარო ინტერესი მაღალია.

ინტერპრესი

◎ დედაქალაქი

გზას ვამბობთ, თორემ...

მერია ძველ რეჟიმში: დაპირება შეუსრულებელია, გზები – გაუვალი

მერიის დაპირებიდან 1 თვე გავიდა, მაგრამ თბილისის ქუჩები კვლავ მოუწესრიგებელია. ორმოებისა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო ქალაქში გახშირდა საცობები. მძღოლები აღშფოთებას ვერ მალავენ.

„მოსახლეობის გულისწყრომა მისაღებია და მას მეც ვიზიარებ, როგორც დედაქალაქის ერთ-ერთი მოქალაქე. დაიგვიანა თბილისში ზამთრის შემდეგ დაზიანებული გზების აღდგენის პროცესმა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ბიუჯეტი მარტის ბოლოს დამტკიცდა, მერიას შეეძლო ერთი მეთორმეტედის პრინციპით სამუშაოები გაცილებით უფრო ადრე დაეწყო. ამისგან განსხვავებით, ჩვენ რეგიონებში უფრო ადრე დავიწყეთ ზამთრის შედეგად დაზიანებული გზების რეაბილიტაციის პროცესი“, — განაცხადა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ.

მერიის დაპირების მიუხედავად, თბილისის გზები მართლაც სავალალო მდგომარეობაშია. ქუჩებზე ასფალტის საფარის დაზიანების გამო, განსაკუთრებით ავტომფლობელები არიან აღშფოთებულნი. მერიის დაპირებული 3 კვირა უკვე მიიწურა, მაგრამ ქალაქის ნახევარზე მეტი კვლავ მოუწესრიგებელია. უმრავლეს ადგილებში კი ეს იწვევს საცობებს, რადგან მძღოლები ფრთხილად და დაკვირვებით გადაადგილდებიან.

კერძო და სამარშრუტო ტაქსის მძღოლები ადასტურებენ, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები დედაქალაქის მხოლოდ ნაწილში მიმდინარეობს. მაგალითად, ასფალტის საფარი განახლდა დიდუბის ხიდზე, დიდ დიღომში ამოავსეს „ორმოულები“, თუმცა ნაწილობრივ. ასევე დაახლოებით ერთი თვის წინათ დაიგო მარშალ გელოვანის გამზირიდან გაგარინის მოედანზე ასასვლელი გზა და ისიც ნაწილობრივ. ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს ნუცუბიძის ქუჩაზე, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდზე და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ქალაქის მასშტაბით ქუჩების უმრავლესობა დაზიანებულია. ყველაზე ხშირად გავრცელებულ პრობლემად რჩება დიდი ქუჩების ერთმანეთთან დამაკავშირებელი, შედარებით პატარა ქუჩები. მაგალითად ქუთაისის ქუჩა, სადაც სამუშაოები ძალიან გაიწელა, რადგან ერთი კვირის წინ ასფალტის ჩასასხმელად გამზადებული ადგილები ისევ ქვიშითა და ქვითაა სავსე, მუშაობა კი არ მიმდინარეობს, რაც დამატებით პრობლემებს ქმნის.

როგორც მძღოლებმა „კომერსანტს“ განუცხადეს, გაუსაძლისი მდგომარეობაა ნაძალადევში, სანზონაში, გლდანში, ავლაბარში, ორთაჭალაში, ასევე ბარნოვის, იოსებიძისა და საბურთალოს ქუჩებზე, მეტროსადგურების — „დიდუბე“, „სარაჯიშვილი“ და „გურამიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიებზე.

თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი გიორგი ყოჩიშვილი კი ამტკიცებს, რომ თბილისის ქუჩების რეაბილიტაცია, 24-საათიან რეჟიმში, თბილისის ყველა რაიონში სხვადასხვა ქუჩაზე მიმდინარეობს.

ბექა დანელია

◎ ფინანსები

დაუბეგრავი მინიმუმი მომავალ წლებშიც გაიცემა?

შესაძლოა, 500 ლარი სტანდარტულ ხელფასად იქცეს?

საქართველოში **საკმაოდ ბევრი დაბალშემოსავლიანი ადამიანი აღმოჩნდა. „დაუბეგრავი მინიმუმის“ დაბრუნების მიზნით ბანკებსა და საშემოსავლო სამსახურის ვებგვერდზე დეკლარაციები საკმაოდ სწრაფი ტემპით ივსება. ბოლო მონაცემებით, რეგისტრაცია 325 ათასმა მოქალაქემ გაიარა. მათ მესამედზე მეტს დაუბეგრავი მინიმუმი უკვე დაუბრუნდა.**

დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების მიზნით მოქალაქეებს დეკლარაციის შევსება 30 სექტემბრის ჩათვლით შეუძლიათ. შემოსავლების სამსახურში განმარტავენ, რომ წინასწარი გათვლებით, დაუბეგრავი მინიმუმი 600 ათასამდე ადამიანს დაუბრუნდება.

„არსებული მონაცემების გათვალისწინებით ნავარაუდევი იყო, რომ დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად საკმარისი იქნებოდა 160 მილიონი ლარი, დაზუსტებები დაიწყეს ბუღალტრებმა, მაგრამ ეს მნიშვნელოვნად არ შეცვლის ამ თანხას. სრულად რომ გავისტუმრებთ, შემდეგ გვეცოდინება, ზუსტად რა თანხა დასჭირდა დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებას“, — განუცხადა For.ge-ს შემოსავლების სამსახურის აპარატის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა.

დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებით კმაყოფილია დაბალშემოსავლიანი დასაქმებულების უმეტესობა, ეკონომიკის საკითხთა ექსპერტების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების აღნიშნული გადაწყვეტილება ეკონომიკური კუთხით გაუმართლებელია.

მიხეილ ჯიბუტი ერთ-ერთია იმ ექსპერტთაგან, ვისაც დაუბეგრავი მინიმუმის საკითხზე ხელისუფლების გემოვნება არ მოსწონს.

„მიმაჩნია, რომ არ არის საჭირო დაუბეგრავი მინიმუმი. ხელფასი უნდა იყოს ნორმალური და არ უნდა იყოს საჭირო ამგვარი შეღავათები. თუ გაქვს დაუბეგრავი მინიმუმი, ის უნდა გაიცემოდეს ხელფასის პარალელურად. ამ სახით დაუბეგრავი მინიმუმის გაცემა ეკონომიკისთვის, შესაძლოა, სიურპრიზი აღმოჩნდეს. ამ ოდენობის ფულის მასის მიმოქცევაში ერთად გაშვება ეკონომიკისთვის არასწორი ინფორმაციაა“, — განუცხადა For.ge-ს მიხეილ ჯიბუტმა. მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, რომ დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებამ სამომხმარებლო ბაზარზე ზოგიერთი პროდუქტის ფასის ზრდა გამოიწვიოს.

მიხეილ ჯიბუტი ყურადღებას საქართველოში მოქმედ საშემოსავლო გადასახადის მაღალ განაკვეთზეც ამახვილებს და აცხადებს, რომ 20%-იანი გადასახადი საკმაოდ მაღალია. ექსპერტი მიიჩნევს, რომ საშემოსავლო გადასახადის შემცირება შესაძლებელი გახდება, თუ აღნიშნული თანხა ცენტრალურის ნაცვლად ადგილობრივ ბიუჯეტებში შევა.

„ჯერ იყო 12%, შემდეგ, ზურაბ ნოღაიდელის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, გახდა 25%, ახლა არის 20%. ძალიან მაღალი განაკვეთია, შეიძლება ითქვას, დამანგრეველიც. არ შესრულდა წინა ხელისუფლების მიერ დანაპირები და არც ახალმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა საშემოსავლო გადასახადის შემცირება. საშემოსავლო გადასახადი უნდა იყოს ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის წყარო, ამ შემთხვევაში ამ გადასახადთან დაკავშირებული ცენტრალური ხელისუფლების მადაც შემცირდება“, — აცხადებს მიხეილ ჯიბუტი.

„საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი რომან გოცირიძე კი აცხადებს, რომ თანხის უკან დაბრუნების მექანიზმი არის ტექნიკურად ძნელი, აღსარიცხად რთული და ბიუროკრატიული. საჭიროებს გარკვეულ დამატებით ხარჯებსაც. ასევე, ხელს უწყობს ხელფასების შეგნებულად შემცირებას დამქირავებლების მხრიდან და ხელზე, ე.წ. კონვერტით ანგარიშსწორების ძველი მახინჯი წესის წახალისებას.

„მომავალში გამოიწვევს დაუსაქმებელი ნაცნობ-მეგობრების და ე.წ. მკვდარი სულების ფიქტიურ გაფორმებას დაუბეგრავი შემოსავლის მიღების მიზნით, ძირითადად, საშუალო და მცირე საწარმოებში. დამქირავებელი ამ გზით შეეცდება ხელფასის ირიბ ზრდას ბიუჯეტის ხარჯზე. უბრალოდ, ხდება საგადასახადო ხვრელის გაჩენა და დანაშაულის წახალისება, რომელსაც ზოგიერთებისთვის ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ეს ცდუნებისთვის მექანიზმის შექმნას ჰგავს. დამქირავებელს ექნება სურვილი, ასევე არ გაზარდოს დაბალშემოსავლიანი მუშაკების შრომის ანაზღაურება და 500 ლარი სტანდარტულ ხელფასად იქცევა. აღნიშნული ცვლილება ნიშნავს ასევე ერთიანი გადასახადის განაკვეთიდან დიფერენცირებულზე გადასვლას, რაც არ არის სამართლიანი,“ — განუცხადა For.ge-ს რომან გოცირიძემ.მისივე განმარტებით, სოციალური საკითხების ერთადერთი მომგვარებელი არის ბიუჯეტი და არა საგადასახადო, საბაჟო თუ სხვა სახის შეღავათები. ამიტომ, დახმარება უნდა იყოს მიზნობრივი, უნდა შეიქმნას სიღარიბეში მყოფთა დადგენის გამართული სისტემა.

„სწორედ, ასეთი მექანიზმების უქონლობის ბრალია ის, რომ ვიუქნით მაგალითად, შუქის და კომუნალური მომსახურების ვაუჩერებს იმათ, რომელთაც ძალიან უჭირთ და იმათაც, ვისაც ეს არაფერში სჭირდება. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა გვინდა დავეხმაროთ ღარიბს, შედეგს კი იმკიან მდიდრები. წელს 180-200 მილიონს თუ აბრუნებენ, მომავალში იგი მეტი იქნება, რადგან იმ კატეგორიის ადამიანებიც დაემატებიან, რომლებიც დღესაც იხდიან გადასახადებს, მაგრამ ხელფასს არ იღებენ ბანკების მეშვეობით. ბიუჯეტში ეს თანხები, ერთად თავმოყრილი ერთი-ორი მნიშვნელოვანი პრობლემის სამუდამო გადაწყვეტას ეყოფოდა, მაგალითად, ჯანდაცვის ხარისხიან უზრუნველყოფას“, — აცხადებს რომან გოცირიძე.

„საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ დღეს ქვეყნის ბიუჯეტიდან გაუმართლებელი ხარჯების დასაფარად ვალები საკმაოდ სწრაფი ტემპით გროვდება, ასეთ პირობებში კი საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთის შემცირებაზე საუბარი არარეალურია, თუმცა, ზომიერი ბიუჯეტის პირობებში ბიზნესს მეტი ფული დარჩებოდა და ხელფასებიც 500 ლარზე გაცილებით მეტად გაიზრდებოდა, რადგან, სწორედ, გადასახადების შემცირება არის ხელფასების ზრდისთვის ყველაზე დიდი სტიმული.

„დიდი, გაბერილი ბიუჯეტი ნიშნავს კერძო სექტორში დაბალ ხელფასებს, ნაკლებ მოგებას, ნაკლებ ზრდას. დღეს ბიუჯეტიდან რა არ ფინანსდება: ხვნა, თესვა, კერძო საფეხბურთო კლუბებიც კი. აგერ ახალ სახელმწიფო ბანკს ქმნიან ისევ ბიუჯეტის ფულით. ანუ ჯანსაღმა ბიზნესმა უნდა დააფინანსოს საეჭვო და არაპერსპექტიული. სახელმწიფო ბანკს კი არ უნდა მისცე ფული, ბიზნესში უნდა დატოვო, ამ შემთხვევაში კი ხელფასებიც გაიზრდება და სამუშაო ადგილებიც“, — აცხადებს რომან გოცირიძე.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აპარატის უფროსის განმარტებით, კანონში დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების შესახებ სპეციალური ჩანაწერი არსებობს და თუ კანონი არ შეიცვლება, შემოსავლების სამსახური დაუბეგრავ მინიმუმს მომავალ წლებშიც გასცემს.

მადლენა მაჭარაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

აპროტესტებენ სასტუმროს მშენებლობას

მოსეშვილის 31-ში მოსახლეობის საპროტესტო აქცია გაიმართა. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ჭავჭავაძის №64-ში სასტუმრო „ჰილტონ გარდენის“ მშენებლობისას საკადასტრო ზონები დაირღვა.

აქციის მონაწილეთა ინფორმაციით, სასტუმრო „ჰილტონ გარდენს“ ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი აშენებს, რომელმაც 2006 წელს თავისი მიწის ნაკვეთის ქვეშ არსებული ავტოფარეხები შეიძინა.

— 2006 წელს, პაპაშვილმა თავისი მიწის ნაკვეთის ქვეშ არსებული ავტოფარეხები შეიძინა და იცოდა, სად გადიოდა თავისი წითელი ხაზები, საკადასტრო საზღვარი. მან დაიწყო დავა იმაზე, რომ წითელი ხაზები არასწორად არის გაკეთებული და მშენებლობა შიგნით უნდა შემოვწიოო. დღეს ყოველგვარი ნებართვის გარეშე მოვიდა და ეტაპობრივად, სხვის ინდივიდუალურ საკუთრებაში აკეთებს მშენებლობისგან დამცავ ჯებირებს. ჩვენ მოვითხოვთ თავისუფალ ხაზზე გაიკეთოს საზღვარი და ნუ გვითხრის ეზოს, — აცხადებენ მოსეშვილის ქუჩის მცხოვრებლები. მოსეშვილის ქუჩის მცხოვრებთა აქციის მონაწილე, პაატა ჩიბლაშვილი მშენებლობისთვის ხელის შეშლისთვის იქნა დაკავებული, რომელიც შემდგომ ხელწერილით გაათავისუფლეს.

ინტერპრესი

◎ ხელოვანი



მე ჩემს ლამაზ სამშობლოს ვხატავ

მხატვრის ზეობა

14 აპრილს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა ცნობილი მხატვარ-ფერმწერის, სამხატვრო აკადემიის პროფესორის ილია პატაშურის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებული პერსონალური გამოფენა.

20 წლის ყმაწვილი ილია პატაშური მოკრძალებით იჯდა კოლხური კოშკის დარბაზში და გულის ფანცქალით ელოდა კლასიკოსთან შეხვედრას. კონსტანტინე გამსახურდიასთვის უნდა ენახვებინა ნახატის ესკიზები – დავით აღმაშენებლის დიდგორის გამარჯვებას რომ ასახავდა. მწერლის დასტურის შემთხვევაში ფუნჯით უნდა შესჭიდებოდა დიდებულ ეპოქას. არადა, უკვე 17 ესკიზი ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ სამხატვრო აკადემიის კათედრაზე არა და არ რთავდნენ ნებას, სადიპლომო ნამუშევრად ისტორიული თემა წარმოედგინა. მოუწოდებდნენ, კომუნისტური ეპოქის ამსახველი სურათი შეექმნა, მაგალითად, ასფალტის დაგება, ან რომელიმე ქარხნის მუშაობა, ან სულაც სოციალისტური შრომის გმირი ქალის ეთერ სოლომონიას პორტრეტი დაეხატა... მაგრამ სტუდენტი გაჯიუტდა. ასეთ რამაზე არასოდეს უფიქრია, მას თავისი სამშობლოს წარსული უფრო იზიდავდა, ვიდრე თანამედროვე ეპოქა.

კარი გაიღო და დიდი მწერალიც გამოვიდა.

– გამარჯობა, ბატონო კონსტანტინე! – კრძალვით მიესალმა ილია. მწერლისგან პასუხი არ მიუღია, მხოლოდ ხელი გაუწოდა და ღონივრად ჩამოართვა.

– საიდან ხართ, ყმაწვილო? – ჰკითხა სტუდენტს.

– მთიელი ვარ, დუშეთიდან.

– მერე, ჩოხა რატომ არ გაცვია?! – იკითხა თითქოს სხვათაშორის... ბატონმა კონსტანტინემ ყურადღებით დაათვალიერა ესკიზები, რამდენიმე რჩევა მისცა ახალგაზრდას. რამდენჯერმე კოლხურ კოშკში დაიბარა და... ნამუშევარიც მზად იყო.

სრულიად განსხვავებულად აღქმულმა და დიდ ტილოზე გამოსახულმა „დავით აღმაშენებელმა“ აღიარება და წარმატება მოუტანა მხატვარს. მერე იყო ასპირანტურა და სხვადასხვა თანამდებობრივი დაწინაურება: დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი... თუმცა, ყველაზე დიდი კომპლიმენტი მისთვის უბრალოდ „მხატვარია“, ფერმწერი, რომელიც სამშობლოს სიყვარულით ხატავს სამშობლოს სიყვარულზე...

14-30 აპრილს ხელოვნების მუზეუმში მხატვრის საიუბილეო 75 წლისთავთან დაკავშირებით საანგარიშო გამოფენა გაიხსნა. ილია პატაშურმა 70-ზე მეტ ტილოს მოუყარა თავი და საზოგადოებას თავისი შემოქმედების მრავალწლიანი ღვაწლი დიდ დარბაზში წარუდგინა. ყველა ნახატის ულამაზეს ფერებში გარკვევით იკითხება, თუ როგორ უყვარს მხატვარს თავისი ქვეყნის ზეცა და მიწა, მთა-ბარი და მდინარე, ტყე და ველები, ხალასი ადამიანები, მშვენიერი ქალბატონები, მზე და ყვავილები... როგორ ეთაყვანება ის საქართველოს. სხვაგვარად ალბათ, არც შეიძლებოდა, რადგან ის იმ პატაშურების შთამომავალია, რომლებიც ბაგრატიონთა ტახტის მცველები იყვნენ, არაგვისხეობის ხევისთავები.

მხატვარს კარგად ახსოვს სამხატვრო აკადემიის სტუდენტობის პირველი დღე... **„იმ დღეს პირველად ვნახე ეს კაცი, საურმაგ ღამბაშიძე. დაგვიწყო ნატურმორტი, რჩევები მოგვცა და ხატვას შევუდექით. როცა მუშაობა დავამთავრეთ, ყველა ნახატი გულმოდგინედ დაათვალიერა და თქვა: თუკი დავწერ მაღალ ნიშანს, მხოლოდ ერთადერთს – ილია პატაშურს დავუწერო. იმდენად გამიხარდა, ბედნიერებისგან ცას ვეწიე. ამ შემთხვევამ მომცა სტიმული, ყოველთვის კარგი შეფასება მიმეღო“,** – იგონებს მხატვარი.

ილია პატაშურს მართლაც რომ კარგი პედაგოგები ჰყავდა: ჟორა ჯაში, ზურაბ ნიჟარაძე, ედმონდ კალანდაძე. მხატვრული დაოსტატება ლადო გუდიაშვილისა და ფარნაოზ ლაპიაშვილის მეთვალყურეობით გაიარა.

პირველად 1975 წელს მიიღო პრემია „ვედრებაში“, მეორედ –1989 წელს – „დედაშვილობაში“, ხოლო თბილისის ხელოვნების ფესტივალზე I ხარისხის პრემია „ბროწეულისთვის“ მიენიჭა, 2001 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა. 1966 წლიდან მონაწილეობს საქართველოსა და საერთაშორისო სამხატვრო გამოფენებში. უამრავი ქვეყანა მოიარა თავისი ნამუშევრებით, ჰქონდა რამდენიმე პერსონალური გამოფენა. მის ნახატებს უმაღლეს შეფასებებს აძლევენ ხელოვნებათმცოდნეები, ყიდულობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი კოლექციონერები. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება მხატვრის შედევრები. ტრეტიაკოვის გალერეაში თავს იწონებს პატაშურისეული ხევსური ქალი – „მთვარისა“. მის ნახატებს ინახავენ კიევის სახელმწიფო მუზეუმში, აღმოსავლეთის ხალხთა მუზეუმში...

ილია პატაშურის ფერწერა გამორჩეულია, მაგრამ არის მასში რაღაც სეზანისა თუ ვან გოგისა, იმპრესიონისტული, ოღონდ აბსოლუტურად ქართული. ხელწერა გამოკვეთილია და მას თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ „პატაშურის ფუნჯი“.

„ჩემი შთაგონება საქართველოა. ჩემი სამშობლოს ლამაზ ბუნებას ვეფერები. ჩემს ნახატებში მინდა, ჩანდეს ქართული ხასიათი, ისტორიული თემატიკა კი ამის კარგ საფუძველს მაძლევს“, – მიყვება მხატვარი.

„ბატონო ილია, თქვენ შთამომავლობას უტოვებთ XX-XXI საუკუნეების მხატვრის თვალით დანახულ საქართველოს ისტორიას, ამიტომ გხიბლავთ პატრიოტული პასაჟები?“ – ვეკითხები.

– დიახ, ეს არის ჩემი ამოცანა! – მიპასუხებს მოკლედ და მიდის, გადაღებაზე მიეჩქარება. ხელთ ჩოხა-ახალუხი უჭირავს, რომელიც სურათისთვის უნდა მოირგოს (თუმცა, ხშირად უწევს ჩოხის ტარება, როგორც ჩოხოსანთა საზოგადოების წევრს). მე კი საგამოფენო დარბაზში ვრჩები, სადაც მის გულში ჩაბუდებულ დიდ სიყვარულზე საუბარს მხატვრის ფუნჯით გაცოცხლებული ფერადი სამყარო განაგრძობს.

თეა მოსია

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P122204**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRPII/CW/NCB - 15**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტი ადგილობრივი მნიშვნელობის მცხეთა – შიო მღვიმის მონასტრის საგზაო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **16 თვე**
შესაფასებელი ვალუტა: **ლარი**

შეფასებული კომპანიები:
დასახელება: ერთობლივი საწარმო შ.პ.ს. “ტ და გ” და შ.პ.ს. “ავტობანი”
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდი დიღომი, თავდადებულის ქუჩა №22
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 5,079,983.07 ლარი
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 5,079,983.07 ლარი

დასახელება: შ.პ.ს. “კომპანია ბლექ სი გრუპი”
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 5,555,555.57 ლარი
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 5,555,555.57 ლარი

გამარჯვებული კომპანია:
დასახელება: ერთობლივი საწარმო შ.პ.ს. “ტ და გ” და შ.პ.ს. “ავტობანი”
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდი დიღომი, თავდადებულის ქუჩა №22
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 5,079,983.07 ლარი
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 5,079,983.07 ლარი
საკონტრაქტო ღირებულება: 5,079,983.07 ლარი

Contract Award Notification

Project Name: **Second Secondary and Local Roads Project (SLRP II)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: **Georgia**
Project Number: **P122204**

Bid/Contract Reference No: **SLRP II/CW/NCB - 15**
Scope of Contract: **Design-Build and Transfer of Mtskheta-Shiomgvime Monastery Road Section Rehabilitation under Output- and Performance-based Road Contracting Methodology**
Duration of Contract: **16 months**
Evaluation Currency: **Georgian Lari**

Evaluated Bidder:
Name: JV “T&G” Ltd. and “Avtobani” Ltd.
Address: #22 Tavdadebuli street, Didi-Digomi, Tbilisi, Georgia
Bid price at bid opening: 5,079,983.07 Gel
Evaluated bid price: 5,079,983.07 Gel

Name: “Company Black Sea Group” Ltd.
Address: #71 Vazha Pshavela Ave.,0186 Tbilisi, Georgia
Bid price at bid opening: 5,555,555.57 Gel
Evaluated bid price: 5,555,555.57 Gel

Awarded Bidder:
Name: JV “T&G” Ltd. and “Avtobani” Ltd.
Address: #22 Tavdadebuli street, Didi-Digomi, Tbilisi, Georgia
Bid price at bid opening: 5,079,983.07 Gel
Evaluated bid price: 5,079,983.07 Gel
Contract Price: 5,079,983.07 Gel

◎ ვინ არის, ან არის კი დამნაშავე?

მუშტის ქნევა ჩხუბის შემდეგ?!

რუსეთში მიხეილ გორბაჩოვის გასამართლებას აპირებენ

„თავის ქვიშაში ჩარგვისა და უკანალის გაბზეკის გარეშე საჭირო იყო თანმიმდევრული, დაჟინებითი და უშიშარი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის“, — ასე უპასუხა გასული წლის ნოემბერში ვლადიმერ პუტინმა მისთვის დასმულ შეკითხვას, რას გააკეთებდა, მიხეილ გორბაჩოვის ადგილზე რომ ყოფილიყო?!

დღეს პუტინის ხაზი რუსეთში ძლიერია. ახლანდელი რუსეთი საბჭოთა კავშირის აღდგენის გეგმას ამუშავებს და მიხეილ გორბაჩოვის გასამართლებას აპირებს.

კერძოდ, რუსეთის დუმის თითქმის ყველა ფრაქციის, მათ შორის, პუტინის „ედინაია რასიას“ დეპუტატებმა რუსეთის მთავარ პროკურორს წერილით მიმართეს, რათა საბჭოთა კავშირის დაშლა უკანონოდ, ხოლო ამ პროცესში მონაწილე ყველა პირი დამნაშავედ გამოცხადდეს. მათი აზრით, გორბაჩოვი კრიმინალია, რომელიც უცხო ქვეყნის დავალებით მოქმედებდა. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დაშლაც არალეგიტიმური გამოდის და საქართველოს, უკრაინის და სხვა ყოფილი რესპუბლიკების სუვერენიტეტი უნდა გადაიხედოს. ასევე, უნდა მოხდეს ბელოვეჟის ხელშეკრულების დენონსაცია, რის საფუძველზეც საბჭოთა კავშირი დაიშალა.

მიხეილ გორბაჩოვი თავის წინააღმდეგ სარჩელის აღმძვრელ რუსეთის დუმის ცალკეულ დეპუტატებს ავანტიურისტებს უწოდებს. იგი იხსენებს, რომ მაშინდელმა საკანონმდებლო ორგანომ თითქმის ერთხმად, სიხარულის ცრემლებით დაუჭირა მხარი ბელოვეჟის შეთანხმებას, რაც საბჭოთა კავშირის დაშლას გულისხმობდა, მხოლოდ სამი იყო წინააღმდეგი.

ამასთან, გორბაჩოვი ამტკიცებს, რომ მხოლოდ იგი იყო ერთადერთი, ვინც საბჭოთა კავშირის დაშლას ეწინააღმდეგებოდა. **„თითქოს ქვეყანაში მეტი პრობლემა არ იყოს, ვიდრე გორბაჩოვის ციხეში ჩასმაა“,** — აცხადებს თანამემამულეების საქციელით განაწყენებული გორბაჩოვი.

თუმცა, საინტერესოა, რუსი დეპუტატები, გორბაჩოვის პარალელურად, მოინდომებენ თუ არა შევარდნაძის სისხლის სამართლებრივ დევნასაც, რომლის სახელსაც საბჭოთა კავშირის დაშლა და გერმანიის გაერთიანება უკავშირდება?! ჩვენთან საუბრისას ექსპერტები აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირის აღდგენა იურიდიულად შეუძლებელია და ეს უფრო კრემლის კუნთების თამაშს და საბჭოთა ნოსტალგიური ისტერიის დომინირებას წააგავს. მათი თქმით, საბჭოთა კავშირი თავად მისმა დამფუძნებლებმა დაშალეს, თანაც, სრულიად კანონიერად.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ მშვიდობისთვის ნობელის პრემიის ლაურაეტის მიხეილ გორბაჩოვის გასამართლება, პრინციპში, გამორიცხულია. მისი თქმით, გორბაჩოვ-შევარდნაძე-კრავჩუკისადმი აგრესია ახალი არ არის და პერიოდულად აქტიურდება ხოლმე. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის აღდგენა იმ ფორმატით, რითაც არსებობდა, დღეს რუსეთის ხელისუფლებაში მყოფ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ აწყობს. მით უფრო, რომ მაშინ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ანატომია სხვაგვარი იყო, რუსეთი მატერიალურად ინახავდა მოძმე რესპუბლიკებს პოლიტიკური ლოიალობის სანაცვლოდ. დღეს კი იაფ გაზს პუტინი არ მოგვცემს. დღეს სულ სხვა ფორმატია. ახლა რუსეთისთვის მთავარია პოლიტიკური გავლენის შენარჩუნება, ოღონდ არანაირი ეკონომიკური ვალდებულებები და შეღავათები. ის, რაც იყო საბჭოთა კავშირში, მორჩა და ისტორიას ჩაბარდა, ეს რუსეთშიც კარგად ესმით.

„საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება შევარდნაძის პრეროგატივა არ ყოფილა. შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, რომელსაც იმ გუნდში ერთ-ერთი საკვანძო პოზიცია ეკავა, თუმცა, იდეოლოგიის თვალსაზრისით, გაცილებით წამყვან ფიგურას წარმოადგენდა იაკოვლევი, გორბაჩოვის მარჯვენა ხელი. საბჭოთა კავშირის დაშლა გორბაჩოვს არც უნდოდა, ეს გეგმად არ ჰქონია. საბჭოთა კავშირის დაშლისთვის თუ ვინმე უნდა გაასამართლონ, ეს აწ გარდაცვლილი ელცინია. გორბაჩოვს უნდოდა საბჭოთა კავშირის მოდერნიზირება. ის და მისი მრჩევლები მუშაობდნენ კონფედერაციის მსგავს პროექტზე, ერთიანი ეკონომიკური ცენტრით, სადაც პრეზიდენტი საყოველთაო ხმებით უნდა არჩეულიყო. მაშინ პრეზიდენტად გორბაჩოვი მოიაზრებოდა, მაგრამ ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო ელცინი, რომელსაც უნდოდა, რუსეთის დამოუკიდებლობა თავისი პრეზიდენტობის ქვეშ. ამიტომ, თუ ასე მიდგა საქმე, გორბაჩოვის დასჯის რიგი როდის მოვა, არავინ იცის. გორბაჩოვამდე არიან შახრაი, ბურბულისი, ელცინის დროინდელი სახელმწიფო მდივანი კოზირევი, გარდაცვლილი გაიდარი ანუ რეფორმატორთა გუნდი“, — განმარტავს სოსო ცინცაძე.

მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე პეტრე მამრაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ გამოჩენილმა პოლიტოლოგებმა, მათ შორის, რუსმა პოლიტოლოგებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა თავის დროზე აღნიშნეს, რომ არც გორბაჩოვს და არც შევარდნაძეს საბჭოთა კავშირი არ დაუშლიათ. საბჭოთა იმპერია კატასროფულად იშლებოდა მასში არსებული ეკონომიკური და სხვა ვითარების გამო, ხოლო გორბაჩოვმა და შევარდნაძემ ყველაფერი გააკეთეს, რომ პროცესი ნაკლები ზარალითა და მსხვერპლით დასრულებულიყო.

„მოწმე ვარ იმის, რომ გამოჩენილი რუსი მოღვაწეები ამბობდნენ, რომ არა შევარდნაძე, ჩვენს ინტერესებს ასე ვერავინ დაიცავდა, ამდენ დაფინანსებას, რაც იმავე გერმანიის გაერთიანების დროს მიიღო კომპენსაციის სახით მაშინდელმა საბჭოთა კავშირმა, ქვეყანა ვერ მიიღებდა. სულ სხვა არის რევანშისტულად განწყობილ დეპუტატთა პოზიცია, რაც მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარი პიარია და პრაქტიკულად, შეუძლებელია, რომ მოხდეს გორბაჩოვის გასამართლება.

სხვათა შორის, ბელოვეჟის ტყვრში გორბაჩოვი არც ყოფილა, იგი წასული იყო პოლიტიკური არენიდან. იქ იყო ელცინი და ბელორუსიის, უკრაინის მაშინდელი ხელმძღვანელები, ოთხი ადამიანი, ვინც ამ საკითხს წყვეტდა. პოლიტიკური შეფასების უფლება ყველას აქვს. არა მარტო რუსი დეპუტატები ფიქრობენ პუტინის მსგავსად, არამედ **რუსი საზოგადოების ყველა ფენაში ასეთი განწყობაა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო. თავის ფანტაზიებში იქამდე მიდიან, რომ ამბობენ, გორბაჩოვი ცერეუ-მ მოისყიდაო, შეთქმულების თეორიებს ავითარებენ. თურმე, იმის გამო დაიშალა ეს ვეებერთელა ქვეყანა, რომ გორბაჩოვმა ქრთამი აიღო ამერიკელებისგან — ეს აბსურდია.**

ჯერ კიდევ 90-იან წლებში რამდენჯერ მოგვისმენია რუსეთის დუმის მხრიდან, რომ რუსეთი უნდა აღდგეს ახალ ფედერალურ საწყისებზე და საქართველო უნდა შევიდეს ამ ახალ გაერთიანებაში არა როგორც ერთიანი, არამედ, სულ ცოტა, 6-7 დამოუკიდებელი სუბიექტის მქონე ქვეყანა. საუბარია ცხინვალის რეგიონზე, აფხაზეთზე, აჭარაზე, სამცხე-ჯავახეთზე, ქვემო ქართლსა და დანარჩენ საქართველოზე“, — აცხადებს პეტრე მამრაძე.

ამასთან, იხსენებს, რომ, როცა მამა ბუში ჩავიდა კიევში, გავიდა დიდ მიტინგზე და საოცრება თქვა, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა დაიშალოს საბჭოთა კავშირი, რაც მთელი მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხებისთვის ძალზე ცუდი იქნებაო. მან პირდაპირ თხოვნით მიმართა უკრაინელ ხალხს, ეს არ დაუშვათო. მეტიც, შეერთებულმა შტატებმა, როგორც მაშინ ყველაზე დიდმა ძალამ, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ უკრაინას, ბელორუსიას გადაეტანათ და ჩაებარებინათ სსრკ-ის კუთვნილი ატომური იარაღი რუსეთის ფედერაციისთვის. ამაზე დიდძალი თანხები დახარჯა შეერთებულმა შტატებმა, რომ მთელი ატომური იარაღი და ატომური ნარჩენები გადაზიდულიყო რუსეთში, რადგან ენდობოდნენ რუსეთის ხელმძღვანელობას.

უფრო მეტიც, პეტრე მამრაძის თქმით, გერმანიის გაერთიანებაც კი არ უნდოდა დასავლეთს. ფეხს ითრევდა საფრანგეთი და ინგლისი მარტივი მიზეზის გამო, მათ არ უნდოდათ, გაერთიანებული გერმანია გამხდარიყო უძლიერესი სახელმწიფო ევროპაში. მართლაც, მათი შიში ახდა, გაერთიანების შემდეგ გერმანიის მთლიანი შიდა პროდუქტი აღემატება ინგლისის და საფრანგეთის შიდა პროდუქტების ჯამს. არადა, დასავლეთის აზრით, პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს ზეძლიერი გერმანიის დასუსტების გარანტია სწორედ გერმანიის დანაწევრება იყო.

მანანა ნოზაძე

დედამიწის ზურგზე

ულტიმატუმის ვადა, რომელიც კიევის ხელისუფლებამ მომიტინგეებს წაუყენა, ამოიწურა. ტურჩინოვი უფალს სთხოვს, „დალოცოს უკრაინა“

ფედერალიზაციის მომხრეებმა, რომლებმაც დაიკავეს ადმინისტრაციული შენობები მთელ რიგ ქალაქებში აღმოსავლეთ უკრაინაში, უარი განაცხადეს დანებებაზე და არ აპირებენ თავიანთ მოთხოვნებზე უარის თქმას. მათ შექმნეს მობილური რაზმები და დერეფნები ძალების გადასაადგილებლად დონეცკსა და ლუგანსკს შორის. სლავიანსკში გადაისროლეს ეროვნული გვარდიის ბატალიონი, რომელიც უკვე დიდი ხანია, მიიწევს ბრძოლისკენ.

გაეროს უშიშროების საბჭოს სასწრაფოდ მოწვეულ სხდომაზე მხარი არავინ დაუჭირა რუსეთის ფედერაციას, რომელიც აცხადებს პროტესტების „სახალხო“ ხასიათზე უკრაინის აღმოსავლეთში

გაეროში რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენლის სიტყვებით, კიევმა სამხედროები გაგზავნა ქვეყნის აღმოსავლეთში, ვინაიდან მთელ რიგ ქალაქებში სამართალდამცავი ორგანოები გადავიდნენ პროტესტის მომხრეთა მხარეზე, უკრაინის საზღვრებთან კი არ არის რუსეთის ჯარების თავშეყრა. იგი დაიმუქრა, რომ ჩაშლის 17 აპრილის შეხვედრას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა ბრალი დასდეს მოსკოვს პროვოკაციებში, დეზინფორმაციასა და სამხედრო მოქმედებების კოორდინირებაში ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გააქარწყლა უკრაინის აღმოსავლეთში სიტუაციის შესახებ 10 მითი, რომელსაც აქტიურად ამკვიდრებს რუსული პროპაგანდა

დოკუმენტში, რომელიც გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკურმა უწყებამ, სხვებთან ერთად ამტკიცებენ, რომ რუსეთი ამახინჯებს ინფორმაციას ჯარების თავშეყრის შესახებ რუსეთ-უკრაინის საზღვართან, რომ აღმოსავლეთი ოლქების მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ უჭერს ფედერალიზაციას, აგრეთვე იმას, რომ უკრაინაში დააპატიმრეს რუსეთელების მნიშვნელოვანი ოდენობა, რომლებიც აწარმოებენ დაზვერვითსა და ძირგამომთხრელ საქმიანობას.

ჩილეში გიგანტური ხანძრის შედეგად დაიღუპა 11 კაცი, 10 ათასზე მეტი – ევაკუირებულია

წინასწარი ინფორმაციით, ხანძრის მიზეზი ქალაქ ვალპარაისოში გახდა ელექტროგადამცემი მაღალვოლტიანი ხაზის მოკლე ჩართვა, რაც ფრინველებმა გამოიწვიეს. მშრალი ამინდისა და ქარის გამო ხანძარი სწრაფად ვრცელდება ქალაქის მიმართულებით. მედიკოსებს დახმარებისთვის მიმართა 500-ზე მეტმა კაცმა, მათ უმრავლესობას სასუნთქი გზების დამწვრობა აქვს.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 11 აპრილის №49 ბრძანების დანართი

ინფორმაცია

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობიანი აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს პირობიან აუქციონს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

ლოტის #	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	თობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
N1	ქ. თელავში, დავით აღმაშენებლის მეორე შესახვევში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	16	53.20.31.382	1120	336	112	100
N2	ქ. თელავში. დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	81	53.20.31.422	2025	608	203	100
N3	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	240	53.08.42.127	2640	792	264	100

სააუქციონო პირობები:

ა) ობიექტი ექსპლუატაციაში შევიდეს საკუთრების მოწმობის გაცემიდან 2 წლის განმავლობაში;

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია, მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს აუქციონის ჩატარების მეორე დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2014 წლის 22 აპრილამდე ყოველ სამუშაო დღეს 10^{00}-დან 17^{00} სთ-მდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს, 10^{00} საათიდან 12^{00} საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 22 აპრილს 16^{00} საათზე (ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16).

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს თელავის მუნიციპალიტეტის სპეცანგარიშზე, მიმღების დასახელება: თელავის მუნიციპალიტეტი, ა/ა-GE85VT2900000000113303, მიმღები ბანკის დასახელება: ს.ს. „ვითიბი ბანკი"-ს თელავის ფილიალი, ბანკის კოდი UGEBGE22.

გ) მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშის ნომერზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ა/ა 200122900 ბ.კ. TRESGE22 სახაზინო კოდი 300513282.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ, მიიღოთ: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16. II სართული, ტელ: 27-13-35.

საკრებულოს თავმჯდომარე
დიმიტრი ბოჭორიძე

◎ ალიან-ჩალიანი

53-ე საჯარო სკოლაში სწავლის პროცესი აღდგა

როგორც 53-ე სკოლის დირექტორის მოადგილემ შორენა გამყრელიძემ განაცხადა, გაფიცულმა პედაგოგებმა მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტეს, რომ სასწავლო პროცესი აღდგენილიყო. დღეიდან უფლებამოსილების შესრულებას დაიწყებს 53-ე სკოლის დირექტორი ეკა გახარია. ეკა გახარია მოსწავლეებს, გაკვეთილებზე დასწრებისაკენ მოუწოდებს.

— რაც ყველაზე მეტად მაღელვებს, ეს არის ის, რომ როგორც გავიგე, მოსწავლეებს აქვთ უხერხულობის განცდა, კარგად რომ არ დამხვდნენ. ძალიან მინდა, ვთხოვო ყველას, ყველა მედიასაშუალებით, რომ შემოვიდნენ, გააგრძელონ სასწავლო პროცესი, რომ მათ არ შეექმნათ პრობლემები. მე მათ დასახმარებლად ვარ მოსული და არა პირიქით, — განაცხადა ეკა გახარიამ.

ინტერპრესი

◎ არ გვეკადრება!

„დედა ენის დღის" აღნიშვნა „დაგავიწყდათ", კოლეგებო?!

შენცა ხარ, რა! „დედა ენა" კი არა, „მამა ენა"!.. მორჩა ის დრო, ბიძია, მორჩა! 1978 წლის 14 აპრილის შემდეგ, ბარე 36 წელი გავიდა!.. ჰოდა, მაგ ხნის, უკვე, ჩვენს გაზეთებში, თითქმის აღარავინაა მთავარი რედაქტორი, ანდა, კორესპონდენტი!!! ვიღას უნდა გახსენებოდა?!.

...კი გვაქვს საქმე საშაყიროდ!.. გუშინ, ორშაბათ დილით, თითქმის არც ერთ გაზეთში არ იყო დაბეჭდილი მასალა (არ დავმალავ, სპეციალურად ვეძებდი), რომ 14 აპრილი დედა ენის დღეა! რატომ ძმებო, რატომ?! დიდ ფართობს წაიღებდა ერთი ათსტრიქონიანი ინფორმაცია ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დღის შესახებ?!. თუმცა, მართლა, მართლა!.. მაშინ აღარ დაგრჩებოდათ ადგილი ქართველების ერთმანეთის მიმართ სალანძღავ-სათათხავი მასალების გამოსაქვეყნებლად! კარგია, კარგი! ეგრე განაგრძეთ! უფრო გადაკიდეთ ერთმანეთს ქართველები!.. თუმცა, ისიც წაიკითხეთ, ხარება დღეს თავის ქადაგებაში უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ჩვენ, ჟურნალისტებს როგორ მოგვმართავს, მეტი და მეტი ვწეროთ სიკეთეზე! ლანძღვა-გინებას, რა უნდა თქვე, კაი ხალხო! საქმე ის არის, უდაბნოში გახრწნილი ძაღლის ჩონჩხში თეთრად მოკასკასე კბილები შენიშნო!.. ვითომ თემას გადავუხვიე?!. არამც და არამცა! ჩვენი დედა ენა ხომ მარად საქებარ-სადიდებელია... ნახეთ, რას წერს შოთა ნიშნიანიძე:

„იდიდე წიგნო, იდიდე,
ქართული სულის ლაზათო,
ღმერთი თუ არა, ღმერთკაცი,
იქნება, კიდევ გაზარდო!"

გაზრდის, კვლავაც გაზრდის იგი შესანიშნავ თაობებს და არც არავის დაავიწყდება მისი სიბრძნე და სიდიადე!

ვილენ მარდალეიშვილი

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი (#802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფარად: **ყარაღაჯის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია მდინარე თეძამზე უკაშხლო გვერდითი წყალაღების მოწყობით** კონრაქტით: №A/W/NCB-2014/03

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. კონტრაქტების ხანგრძლივობაა **4,5 თვე.**

2. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2014 წლის 14 აპრილიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგარიშის ნომერი / სახაზინო კოდი: 302004400;
გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია, მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი - 4411.

3. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მოერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 5 მაისის 13:00 საათისა,** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

4. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი..

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი,
თბილისი, მარშალ გელოვანის №6,
მე-3 სართული, ოთახი №309
ელ.ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge
ტელ. (995 (32) 237-66-48.

◎ სამგო

10 ოქრო ესპანეთიდან

საძართველოს ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა ნაკრებები ესპანეთის ქალაქ კასერესში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე შთამბეჭდავად გამოვიდნენ. შეჯიბრებაში სულ 22 ქართველი სპორტსმენი ჩაერთო და 19-მა მათგანმა მედალი მოიპოვა.

განსაკუთრებულ წარმატებას **ახალგაზრდულმა** ნაკრებმა მიაღწია, რომელიც 10 ვაჟით და 2 გოგონათი იყო დაკომპლექტებული და თორმეტივე სპორტსმენი პოდიუმზე ავიდა. ვაჟებმა 4 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ავთანდილ ცინცაძის გაწვრთნილი გუნდიდან პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ლერი ჭელიძე (57 კგ), ლაშა პარასკევაშვილი (62 კგ), მიხეილ მეზურნიშვილი (82 კგ) და ზაურ მამარდაშვილი (90 კგ) ავიდნენ.

გიორგი მელქუაშვილს (48 კგ), ლერი ბედინაძეს (52 კგ), თორნიკე ჭოველიძესა (68 კგ) და რევაზ წულუკიძეს (100 კგ) უმაღლეს ტიტულამდე თითო გამარჯვება დააკლდათ, ომარ ნიაზაშვილმა (74 კგ) და გიორგი ლაზუაშვილმა (+100 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

გოგონების ნაკრების განაცხადში მხოლოდ სალომე აბაშიძე (56 კგ) და ელენე ქებაძე (+80 კგ) იყვნენ და ორივე ევროპის ჩემპიონი გახდა.

ჭაბუკთა ნაკრებმა კი ევროპირველობა 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლით ჩაამთავრა.

მირიან პავლიაშვილის შეგირდთაგან სამეულს მიღმა მხოლოდ აკაკი გიგატაძე (48 კგ), დავით გეჯაძე (56 კგ) და გიორგი ქურდიანი (81 კგ) დარჩნენ.

ირაკლი კუპატაძე (52 კგ), გიორგი მეტრეველი (65 კგ), თორნიკე მახათაძე (70 კგ) და ირაკლი გოგია (87 კგ) შინ ოქროს მედლებით ბრუნდებიან, კობა მჭედლიშვილი (75 კგ) და ჯაბა მუმლაძე (+87 კგ) ფინალში დამარცხდნენ, დავით წურწუმია (60 კგ) კი ბრინჯაოს დასჯერდა.

გეჟან დოლიძე

◎ ვულოცავთ!

„ლელო“ – 80, ჯამლეტ ხუხაშვილი – 70

მართლაც რომ, სიმბოლური დამთხვევაა: ქართული სპორტული პრესის მესაძირკვლე და ფლაგმანი გაზეთი „ლელო“ და პოპულარული სპორტული კომენტატორი და 26-საუკუნოვანი ქართულ-ებრაული მეგობრობის სწორუპოვარი პროპაგანდისტი ჯამლეტ ხუხაშვილი ერთ დღეს არიან დაბადებულნი.

ვინ მოთვლის, თანამემამულეთა წარმატებების შესახებ რამდენჯერ უხარებია მკითხველისთვის სპორტის ქომაგთა საყვარელ გამოცემას. სხვათა შორის, ეს ინფორმაციები, რეპორტაჟები, რეცენზიები, პუბლიცისტური წერილები თუ მიმოხილვები ხშირად სცილდებოდა სპორტულ ჩარჩოებს

და ერის გულისთქმას გამოხატავდა. უფლის მადლით, კალმის დიდოსტატთა, თავისუფალი სულის ჟურნალისტთა დეფიციტს არც მაშინ, საბჭოეთის ზეობისას უჩიოდა „ლელო“ და არც მას შემდეგ აკლია, რაც მათ სამშობლოში დამოუკიდებლობის სიო უბერავს.

როცა ძველ გვარდიაზე ვსაუბრობთ, დამსახურებულ პატივს მივაგებთ დიდი ეროსისა და კოტეს ღირსეულ მემკვიდრეს ბატონ ჯამლეტ ხუხაშვილს, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ საამაყო წინამორბედთა ტრადიციის ერთგული მამულიშვილი.

რადიო „ჯა-კოს“ დამფუძნებელი და ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელის გიორგი შერმადინის აღმზრდელი უნიკალური ხმის ტემბრითაც გამოირჩევა, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად მიკროფონი არც სჭირდება.

და ბოლოს: დიახაც, ბედნიერ ვარსკვლავზეა გაჩენილი „შალვოვიჩი“, რომელიც ახალგაზრდობაში ავიაკატასტროფას გადაურჩა. დაგვეთანხმებით, საგულისხმო ფაქტია.

მრავალჟამიერ, ძვირფასო კოლეგებო!

გია პლატონიშვილი

◎ ჩოგბურთი

სამინისტრო: ანა ტატიშვილი უყურადღებოდ არასდროს დარჩენილა

საძართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ჩოგბურთელ ანა ტატიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ტატიშვილი, შეესაძლებლობის ფარგლებში, სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებოდ არასდროს დარჩენილა.

„გვინდა განვაცხადოთ, რომ ანა ტატიშვილი შესაძლებლობის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან არასდროს დარჩენილა უყურადღებოდ. მიღწეული იყო შეთანხმება 2014 წლის მანძილზე მისი ამერიკაში დაფინანსების შესახებ. სპორტისთვის უცხო არ არის, როდესაც უფრო მაღალი ანაზღაურების მოლოდინში სპორტსმენები მოქალაქეობას იცვლიან. ნებისმიერი ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში და ანა ტატიშვილმა ეს არჩევანი გააკეთა. ჩვენ პატივს ვცემთ მის გადაწყვეტილებას და წარმატებას ვუსურვებთ შემდგომ კარიერაში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული სპორტი ყოველთვის იდგა და დგას ისეთ სპორტსმენებზე, რომლებიც არასდროს არაფერზე გაცვლიან საქართველოს დროშის ქვეშ ასპარეზობის პატივს“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ტატიშვილი, რომელიც ქალთა შორის საქართველოს პირველ ჩოგნად ითვლებოდა, აშშ-ს მოქალაქე გახდა და ამიერიდან შტატების სახელით იასპარეზებს.

კოგა კოგახიძე

მეტრეველმა ყაზახური ტურნირი მოიგო

ძართველმა ჩოგბურთელმა ალექსანდრე მეტრეველმა ყაზახეთში გამართული 10-ათასიანი ტურნირი მოიგო. ჩიმკენტში დასრულებულ შეჯიბრებაზე ალექსანდრემ ოთხ რუს მეტოქეს სძლია, ფინალში კი სლოვაკს აჯობა.

მეტრეველმა ფიოდორ ჩერვიაკოვი 6:4, 6:3 დაამარცხა, შემდეგ ივან ნედელკოს 4:6, 6:3, 7:5 მოუგო, მეოთხედფინალში ანდრეი პლოტნის აჯობა – 6:3, 6:1, ხოლო ნახევარფინალში ალექსანდრ ლობკოვს გაუმკლავდა – 7:6 (8:6), 6:2.

გადამწყვეტ მატჩში ქართველი ჩოგბურთელი მე-8 რეიტინგის მქონე სლოვაკ ფილიპ ჰორანსკის დაუპირისპირდა და 6:4, 6:3 მოუგო.

მეტრეველს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგში 17 ქულით 864-ე ადგილი უკავია, ჩიმკენტში გამარჯვებით კი მან 18 ქულა შეიმატა და რეიტინგში საგრძნობლად დაწინაურდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგიონერი

ლევან კობიაშვილის 350-ე მატჩი ბუნდესლიგაში!

ბერლინის „ჰერტას“ ქართველმა კაპიტანმა ლევან კობიაშვილმა ბუნდესლიგაში საიუბილეო, 350-ე შეხვედრა გამართა! პერუელი კლაუდიო პიზაროს შემდეგ კობიაშვილი მხოლოდ და მხოლოდ მეორე არაგერმანელია, ვინც ბუნდესლიგაში ამ ნიშნულს უწია.

კობიაშვილი პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც უცხო ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 350 შეხვედრა ჩაატარა. ამას გარდა, მის აქტივშია მეორე ბუნდესლიგაში გამართული 86 თამაშიც. საერთო ჯამში ლევანმა გერმანული კლუბების მაისურით 535-ჯერ ითამაშა და 60 გოლი გაიტანა.

საქართველოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი (2000 და 2005 წლები) 1998 წლის იანვრიდან თამაშობს გერმანიაში. იგი თავდაპირველად „ფრაიბურგის“ ფეხბურთელი გახლდათ, შემდეგ გელზენკირხენის „შალკე 04“-ში გადავიდა, საიდანაც ბერლინის „ჰერტაში“ გადაინაცვლა.

2003, 2011 და 2013 წლებში ის მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა, 2005 და 2007 წლებში ბუნდესლიგის ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა, 2005 წელს კი გერმანიის ლიგის თასი მოიგო. 2003 და 2004 წლებში, „შალკე 04“-ში თამაშისას, ლევანმა უეფას ინტერტოტოს თასიც აღმართა.

ლევან კობიაშვილი ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ჰეთ-თრიქი შეასრულა. ეს 2005 წლის 23 ნოემბერს ჰოლანდიის „პსვ ეინდჰოვენთან“ 3:0 მოგებულ მატჩში მოხდა.

კობიაშვილი ასევე პირველი და ერთადერთია, ვინც საქართველოს ნაკრებში 100-ჯერ ითამაშა!

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ბარბარა ბერლუსკონიმ წარსული ცოდვები აღიარა

იტალიური „მილანის“ ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ბარბარა ბერლუსკონიმ აღიარა, რომ „წინა ცხოვრებაში“ ბევრი შეცდომა აქვს დაშვებული და მისი მხრიდან (მაშინ, როდესაც „მილანის“ პრეზიდენტის ნაცვლად ამ კლუბის მფლობელის შვილის სტატუსს ატარებდა) ფეხბურთელებთან გაჩაღებული რომანები კლუბში მის იმიჯზე დადებითად არ აისახა.

ბარბარა ბერლუსკონი ამჟამად საკმაოდ უნარიანად ცდილობს კლუბში არსებული მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური პრობლემის დაძლევას და, აქედან გამომდინარე, სურს, რომ საქმიანი პრეზიდენტის იმიჯი შეიქმნას. მაგრამ ლომბარდიული კლუბის ფეხბურთელთა დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, ძველებურად „მდიდარ ნაშად“ თვლის და მას სერიოზულად უბრალოდ არ აღიქვამს. სილვიო ბერლუსკონის ამაყი ქალიშვილი კი ამ რეალობას, რა თქმა უნდა, ძალიან განიცდის.

როსტომ რაჭველიშვილი

საქმე №1/01-2014

საარბიტრაჟო განჩინება

შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

11 აპრილი 2014 წელი **ქ. თბილისი**

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე
საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: დავით ბუცხრიკიძე
დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 27 თებერვალს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელი მოპასუხის დავით ბუცხრიკიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, რომ 2012 წლის 19 დეკემბერს ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა“ და მეორეს მხრივ, დავით ბუცხრიკიძეს შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება №121211274, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა“ მოპასუხეზე გასცა 900 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 19.12.2012წ.

ხელშეკრულების თანახმად სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს ავტომანქანა – SAAB 9.3, ტრანსპორტის გამოშვების წელი – 2000; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №YS3DE35J5X2028566. სარეგისტრაციო მოწმობა: AV9308898, სარეგისტრაციო ნომერი: SSC482.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დავით ბუცხრიკიძეს ორჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ და მისი რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის მისამართზე, ქ. თბილისში, ცინცაძის ქ. 28, ბინა 11-ში, თუმცა, კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა და ფოსტის მიერ დატოვებულ შეტყობინებას არ მიაკითხა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე დავით ბუცხრიკიძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შენდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე დავით ბუცხრიკიძე რეგისტრაციისა და ამავდროულად მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს განჩინება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინებით მოპასუხე დავით ბუცხრიკიძეს (პირადი №01024040281) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. დავით ბუცხრიკიძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ, გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე დავით ბუცხრიკიძეს ეცნობოს, რომ 2014 წლის 30 აპრილს 11:00 საათზე შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია მთავარი საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით დავით ბუცხრიკიძის მიმართ.

5. დავით ბუცხრიკიძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე განჩინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით.

საარბიტრაჟო განჩინებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი:

ქეთევან ტაბატაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი, პროფესორი

გიორგი მჭედლიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია და საქართველოს რადიოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ონკოლოგი, ქირურგი, მედიცინის დოქტორი, ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის კანის, ძვლებისა და რბილი ქსოვილების განყოფილების ხელმძღვანელი

რაიბულ თოდუა

ბატონი რაიბული განეკუთვნებოდა ქართველ ონკოლოგთა იმ პლეადას, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ მედიცინაში. მისი სახელი კარგად იყო ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, არაერთი საერთაშორისო კონგრესისა და ფორუმის მონაწილე, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი და უბადლო ოსტატი, გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი, ის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა ახალგაზრდა თაობისათვის. ბატონ რაიბულს მუდამ თან ახლდა მადლიერი პაციენტების სიყვარული და პატივისცემა.

დასანანია, რომ უდროოდ გამოგვეცალა, მას კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო თავისი ოჯახისთვის და ქვეყნისთვის.

უფალმა გაანათლოს მისი სული და დაუმკვიდროს სამუდამო სასუფეველი.

ვუთანაგრძნობთ მის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებსა და კოლეგებს.

შვილი ავთანდილ ქორიძე, რძალი მანანა ქორიძე, შვილიშვილი ინგა ქორიძე, სიძე მამუკა ნიკოლაიშვილი, შვილთაშვილები გიორგი, ქრისტინა ნიკოლაიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 105 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს და ლატვიის სახელოვანი შვილი, ქალბატონი

ვილგელმინა კარლოს ასული ქორიძე-ვილსინგ

პანაშვიდი 13, 14 IV, გამოსვენება 15 IV, 15 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №28.

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს პათოლოგანატომიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, დამსახურებული ექიმი, ათეული წლების განმავლობაში თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს პათოლოგანატომიური განყოფილების ხელმძღვანელი, ქალბატონი

ნინო (ნუცა) ჭაჭია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მედიკოსი, სამამულო ომის მონაწილე, სათნო ქალბატონი, ქართველ ექიმთა მრავალი თაობის აღმზრდელი და სათაყვანო მასწავლებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნუცა (ნინო) ჭაჭია-მარღანია

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებს და მის უამრავ მადლიერ მოწაფეებს.

ნაილე, ჯიმი, მარიკა, ფრიდონ მიქელაძეები, ალექსანდრე, თამუნა, ანასტასია ნეფედოვები, თამრიკო მაჭავარიანი, გიორგი კახიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, უსათნოესი და უმშვენიერესი მანდილოსნის, ქალბატონ

ნუცა ჭაჭია-მარღანიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ექიმი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ამაგდარი ქალბატონი

ნუცა ჭაჭია-მარღანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ალეკო, რუსუდან, რენა, გიორგი, ნიკოლოზ, ირინა, დავით, ნინო მარღანიები, ალექსანდრე ჭაჭია, ნიკოლოზ, რიმა, მარინა, ალექსანდრე ნეფედოვები; მარიკა მიქელაძე, ნუნუ ქიქოძე, ჯემალ მიქელაძე, თეიმურაზ ფანცულაია, თამარ შიოშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუცა ჭაჭია-მარღანია

გამოსვენება: 15 IV, 15 სთ. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №55 (კუს ტბის ასახვევთან).

კატა – მკურნალი

კატა გამოიმუშავებს გაცილებით უფრო ძლიერ დაბალი სიხშირის ველს, ვიდრე ყველაზე ძვირი გენერატორი. ეს აღმოაჩინეს ლონდონის სამკურნალო მეთოდების ინსტიტუტის ლაბორატორიის თანამშრომლებმა, როდესაც გამოკვლევის მიმდინარეობის დროს მათთან მივიდა ფისო მარტა. დენის დაბალი სიხშირის გენერატორების გადამცემები, რომლებიც ჩართული იყვნენ გამოკვლევაში, უბრალოდ, ათამაშდა. სპეციალისტებმა ეს დამთხვევად მიიჩნიეს, მაგრამ ასეთი რამ ხდებოდა ყოველთვის მაშინ, როდესაც იქვე კატა იმყოფებოდა. დაბალი სიხშირის გენერატორებს დიდი ხანია იყენებენ მედიცინაში ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ, ჭრილობების მოსაშუშებლად და სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად. ის ადამიანები, რომლებსაც სახლში კატა ჰყავთ, მუდმივად არიან ხელსაყრელ ველში.

◎ განაწესი დღეების მიხედვით

15 აპრილი (დიდი სამშაბათი)

დღე, როდესაც მართლმადიდებლები იხსენებენ იესოს სხვადასხვა არაკს. მის მიერ მხილებას მეწიგნურებისა და ფარისევლებისა, რომლებიც უფრო მეტად ზრუნავდნენ თავიანთი სხეულის სისუფთავისთვის, ვიდრე სულის სიწმინდისთვის. საეკლესიო წესდება გვირჩევს ხმელა პურის ჭამას, მშრალზე გადასვლას.

◎ აქცია

სხვათა თანაბარ პირობებში

„საზოგადოება - ყველასთვის დისკრიმინაციის გარეშე“

2006 წლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლების კონვენცია“, რომელიც 2006 წელს არის მიღებული, საქართველოში 2014 წლის 12 აპრილს შევიდა ძალაში. იგი ავალდებულებს ხელისუფებას შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას, განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფას.

ამ თარიღის აღსანიშნავად მშვიდობიანი აქცია გაიმართა ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიიდან ,,ქაშუეთის“ ტაძრამდე. მასში მონაწილეობდნენ ასოციაცია „ანიკის“ ბენეფიციარები და მოხალისეები – შეზღუდილი შესაძლებლობის მქონე პირები, მათი მხარდამჭერები, სამხატრო აკადემიის კურსადამთავრებულები, პარტნიორი ორგანიზაციები, მათ შორის კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“. აქციის მთავარი მიზანი იყო, შეეხსენებინათ მთავრობისთვის, ბიზნესმენებისთვის, მოსახლეობისთვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ უფლება, თანაბარ პირობებში იცხოვრონ სხვა მოქალაქეებთან ერთად.

როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ირაკლი სეფერთელაძემ განაცხადა. **„აქციის მონაწილეთა სურვილია, კონვენციის ყველა მუხლი იყოს გათვალისწინებული და მორგებული საქართველოში ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას. ასევე აუცილებელია, რომ შეზღუდილი შესაძლებლობის უნარის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემებიც მოგვარდეს“.**

როგორც დაანონსებული, იყო აქცია „ქაშუეთის“ ტაძართან დასრულდა.აქციის მონაწილეთა უსაფრთხო გადაადგილებაზე კი იზრუნა თბილისის საპატრულო პოლიციამ.

◎ დაიჯესტი

როცა ფლეიტის ხმა აუტანელია

ბოლო წლებში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებსა და კომპანიებში მიღებულია არა პირდაპირ სატელეფონო აბონენტთან დაკავშირება, არამედ დისპეტჩერის მეშვეობით, რა დროსაც ტელეფონში რაღაც მუსიკას უკრავენ ხოლმე. ჰოდა, ბოლო გამოკვლევებით დადგინდა, რომ ეს პროცედურა ჯანმრთელობისთვის მავნე ყოფილა.

თურმე ამ დროს სტრესი ხუთწუთიანი მოცდის შემდეგ იწყება. გამოკვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 65 პროცენტმა განაცხადა, რომ ოპერატორის პასუხის მოლოდინში ტელეფონში დაკრული „სასიამოვნო“ მუსიკა მომლოდინებში მხოლოდ გაღიზიანებას იწვევს.

ამასთან, რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით უსიამო მოსასმენია ამ დროს ფლეიტის ხმა. მეორე ადგილზე ამ შკალაზე აღმოჩნდა კლასიკური მუსიკა, მესამეზე კი ეგრეთ წოდებული „ბუნების ხმები“ –ტალღების დგაფუნი, ტყეში ფოთლების შრიალი. გამოკითხვაში მონაწილეთა 80 პროცენტმა აღნიშნა, რომ როცა ტელეფონში მსგავსი რამ ესმის, ხაზს მაშინვე ეთიშება.

სიცივის ჩარჩო

ზამთარში სიცივე ის რეალობაა, რომელსაც ყველა ცოცხალი ადამიანი ყველაზე მეტად გაურბის, რადგან სიცოცხლე მხოლოდ გარკვეულ ტემპერატურულ ფარგლებშია შესაძლებელი. არადა, დედამიწაზე ბევრი ადგილია ასეთი, და ადამიანიც ხშირად ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე, როცა სიცივეს ვერსად ემალება, ამიტომ, ვფიქრობთ, სიცივის შესახებ, ზოგიერთი მონაცემის გაცნობა ურიგო არ იქნება.

ყველაზე ცივი ადგილი დედამიწაზე, სადაც ადამიანები მუდმივად ცხოვრობენ, იაკუტიაში ოიმიაკონია, სადაც იანვრის საშუალო ტემპერატურა – 46,4 გრადუსია, ყველაზე დაბალი დარეგისტრირებული ტემპერატურა კი – 67,4 გრადუსი იყო; ადამიანის სხეულზე 250 ათასი წერტილია, საიდანაც ინფორმაცია სიცივის შესახებ თავის ტვინს მიეწოდება; სიცივეში თავდაპირველად ხელის თითები გვეყინება ხოლმე; სიცივისგან არა მარტო თბილი სამოსელი, არამედ „სწორი“ საკვებიც გვიცავს, მაგალითად, ორგანიზმს ათბობენ სანელებლები – წითელი და შავი პილპილი, დარიჩინი, ყვითელი კოჭა, ასევე ნიგოზი, ნუში, ფსტა, ჩირი; – 30 – 35 გრადუს ყინვაში შიშველმა ადამიანმა ნახევარი, ზოგჯერ კი ერთი საათი შეიძლება გაძლოს, მართალია, ორგანიზმი სიცივეზე მძაფრად რეაგირებს, ადამიანს კანკალი აიტანს, კანი ჯერ უწითლდება, შემდეგ ულურჯდება, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, სხეულის ტემპერატურა ცელსიუსის 0,1 გრადუსზე მეტით არ ეცემა; სიცივეს ქალები მამაკაცებზე უკეთ იტანენ, რადგან კანქვეშა ცხიმის „სარჩული“ მათ უფრო სქელი აქვთ, ამიტომ ენერგიასაც უფრო ნაკლებს კარგავენ; საიმისოდ, რომ სიცივეში კანკალმა გაგიაროთ, ორი წუთის განმავლობაში ხელისგულებით ფანქარი უნდა ატრიალოთ. ამ მეთოდის საფუძველს ხელის მტევნის აკუპუნქტურის, სუ-ჯოკის პრინციპი წარმოადგენს; მსოფლიოში ყველაზე მაგარი „სიცივეგამძლე“ კაცი ჰოლანდიელი ვიმ ჰოფია – იგი არაერთ მწვერვალზე შორტების ამარაა ასული, დიდხანს შეუძლია ყინულზე წამოგორებული ნოლა და ყინულიან წყალში ხანგრძლივად ბანაობა; ყინვას სამკურნალოდაც იყენებენ: ზომიერი გაყინვა ანთებით პროცესებს ანელებს, სისხლის მიმოქცევის აღდგენას უწყობს ხელს, ტკივილგამაყუჩებელივით მოქმედებს და შეშუპებებს ხსნის; გაყინვის დროს სისხლში ჰორმონების გაფრქვევა მიმდინარეობს, რომლებსაც ანთების საწინააღმდეგო მოქმედება და ორგანიზმის იმუნური სისტემის მობილიზების უნარი აქვთ; სიცივეზე ალერგია ქალებზე ხშირად მამაკაცები უჩივიან. ამ სნეულების პირველი სიმპტომები 20-30 წლის ასაკში ვლინდება.

გენდერული მიდგომა

კანადელ მეცნიერთა დასკვნით, მედიკოსის სქესი მის მუშაობაზე ზეგავლენას ახდენს.

პროვინცია კვებეკში მათ საშუალო ასაკის 80 ექიმის მუშაობა შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ ექიმი ქალები მამაკაცებზე უფრო ზედმიწევნით ასრულებენ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის რეკომენდაციებს. მაგალითად, დიაბეტის დროს თვალების შემოწმება პაციენტებს ქალების 75-მე პროცენტმა და მამაკაცების 70-მა პროცენტმა დაუნიშნა. მკურნალობის სტანდარტით გათვალისწინებულ მედიკამენტებს ავადმყოფებს ექიმი ქალების 71, ხოლო მამაკაცების 67 პროცენტი უნიშნავს. სამაგიეროდ, მამაკაცი ექიმები გაცილებით სწრაფად მუშაობენ – წლის განმავლობაში ისინი ათასი პროცედურით მეტს ატარებენ.

აჩქარებული გულისცემით

ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მეცნიერთა დაკვირვებით, ათი წლის ბავშვებს გული წუთში ერთი ან ორი დარტყმით უფრო სწრაფად უცემს, ვიდრე მათ თანატოლებს 30 წლის წინათ.

მეცნიერები ამას იმით ხსნიან, რომ ახლანდელი მოზარდები მათ ასაკში თავიანთ მშობლებსა და ბებია-ბაბუებზე გაცილებით ნაკლებს მოძრაობენ. 1980-დან 2008 წლამდე ბიჭების გულისცემა, საშუალოდ, წუთში ორი, გოგონებისა კი ერთი დარტყმით გახშირდა.

სხვა ცვლილებებს შორისაა სიმაღლისა და წონის პარამეტრები – თანამედროვე ბავშვები უფრო მაღლები და მძიმეები არიან. მიღებული მაჩვენებლების გამო ექიმები შეშფოთებულები არიან: მათი აზრით, როცა ბავშვები გაიზრდებიან, შესაძლოა, დიაბეტით და გულის სისხლძარღვთა დაავადების რისკები გაეზარდოთ.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ცოლმა მაღაზიიდან მოიტანა 12 ბოთლი ლუდი, 6 ბოთლი ღვინო, 3 ბოთლი არაყი და ორი ცალი პური.

– რაო, სტუმრებს ველოდებით? – ეკითხება პეტკა.

– არა.

– აბა ჩვენ ორს რად გვინდა ორი პური?

* * *

– ძვირფასო, ამ კაბაში სექსბომბას ვგავარ? – ეკეკლუცება ცოლი ქმარს.

– უფრო მეტად სექსპეტარდას გავხარ: ხმაური დიდია, რეალურად კი არაფერია სანახავი.

* * *

– ნუ ინერვიულებთ, ბატონო, ისინი უკვე დიდები არიან და თავადაც შესძლებენ ხმის მიცემას.

– ჰო, მისცემენ ხმას და მერე, შუაღამისას, ხელახლა უნდა მივცე მათ მაგივრად ხმა!..

* * *

– აბა, რა მიიღე დღეს? – ეკითხებიან მშობლები სკოლიდან დაბრუნებულ მიხოს.

– ოთხიანი! – უპასუხებს მიხო.

– ხუთიანი რატომ ვერ მიიღე?

– სულ ოთხი გაკვეთილი გვქონდა და...

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24